ყოველდღიური გაზეთი    ფასი 7 კაპ.    სამშაბათი, 6 ენკენისთვე 1916 წ.    № 198

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
ყოველდღიური გაზეთი **საქართველო** ყოველდღიური გაზეთი
ხელისმოწერის ფასი: ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 80 კ. 3 თვით—3 მ. 60 კ. 1 თვით—1 მ. 20 კ.
საზღვარგარეთ: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვემდე—9 მან.
ხელის მოწერის ადგილი: ...
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხარიტონ შავიშვილი.

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131. სახელმწიფო შენობა)
სამშაბათს, 6 ენკენისთვეს უჩვენებენ
ამერიკელი არტისტი გიპნოზიორი ა. ოსიპოვი წარმოადგენს
# მალა ჩვენშია
ევროპის გამოჩენილი ...
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. წარმოდგენის შემდეგ ...
ბილეთი დაუკრავს სიმფონიური ორკესტრი.
(1—244—1)

სამანუფაქტურო მაღაზია
ძმ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, ...
ხელქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

მინიპი თამაშვილის ასულის
# ანაშიძისა
სულის მოსახსენებლად.
(1—320—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლაში
მიიღებენ ყოველ შეკვეთილს საქმეს
კაბებს, წამოსასხამებს ქალებისას და ბავშვებისას, თეთრეულს და სხვა და სხვა ნაქარგს ხელსაქმეს.
თავისუფალი ალაგი მოწაფეთათვის მხოლოდ კურსებზეა, და მიიღებენ მოზრდილ ქალებს 16 წლიდან.
მისამართი: ვერა. გაბაანთ შესახვევი № 3.
(5—318—1)

# სახალხო ლექცია
ოთხშაბათს, 7 სექტემბერს, ზუბალაშვილის სახალხო სახლში
გრიგოლ ხაინდრავა
წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზედ:
„საერთაშორისო მსოფლიო ომი და ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მიმოხილვა“
დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა
ქართულსა და რუსულს ენაზე
I განყოფილება — დიქცია და დეკლამაცია.
II „ — პლასტიკა და გიმნასტიკა.
III „ — თეატრის ისტორია.
IV „ — ესტეტიკა.
V „ — პრაქტიკული მეცადინეობა.
ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.
დანარჩენ დღეებში 12—1 საათამდის და საღამოს 6—7 საათამდის, ნიკოლოზის ქუჩა № 64, სადგომი ვორონოვისა.
(თ.—230—8)

# შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასზე
# საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

პირველ ხარისხოვანი რესტორანი
# კაფე პარიზი
ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)
სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.
ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია
ყოველ დღე მზადდება
საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები
ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.
პატივისცემით ხოლ. ხ. გიგიბერია.

მოლაშქრეთა გაწვევის გამო
ექიმმა
წინამძღვრიშვილმა
დროებით შეაჩერა ავადმყოფთა მიღება

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. სალ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

ექიმი
მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

დ. ზუსტაფონში
ექიმი
დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან იღებს მანგლისში
კორპუსის ბანაკში

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
# ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
ი. დ. გეგთაგეგოვი
დაბრუნდა თბილისში და განაახლა ავადმყოფების მიღება.
(1—317—1)

# ახალი მელანი
კოტე ონიკაშვილისა
მელანი ასლის ასაღებადაც („კაპიროვკისთვის“) კარგია
დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგ ფასებში
ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ღირება 1 მ. 20 კაპ.
ფუთი უბრალო შუშით 40 მან.
ხანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.
მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს
მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.

ღვინის საწყობი
# ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
# კახური ღვინო
განთვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

## თბილისი, 6 ენკენისთვე.

**კიდევ კაცის გატაცება.** ქუთაისი და კაცის გატაცება სინონიმად გადაიქცა. ერთ დღეს რომ ექიმი გაბ. გოკიელი ტყვეობიდან გაანთავისუფლეს, მეორე დღეს, სამაგიეროდ, გაიტაცეს ადგილობრივი შეძლებული ვაჭარი ელიზბარ ზვიადაძე. ვინ ჩამოსთვლის, თუ მერამდენეა ეს უკანასკნელი გატაცება. საყურადღებო ისაა, რომ ამ მოვლენებს ადგილი აქვს არა რომელიმე მიყრუებულ სოფელში, არამედ შუაგულ ქუთაისში, გუბერნიის მთავარ ქალაქში, გუბერნიის უმაღლესი ადმინისტრაციის ცხვირის წინ. ყურადღებას იპყრობს ის გარემოებაც, რომ მოქალაქეთა გატაცებას სისტემატიური ხასიათი აქვს, იგი წელიწადში რამდენიმეჯერ ხდება. ბოროტგამზრახველებს თითქოს იმის დამტკიცება სურდეთ, რომ პოლიცია და ადმინისტრაცია უარეს შემთხვევაში, სხვა და სხვა მიზეზის გამო, მათ ხელს არ უშლის თავიანთი საზიზღარი ხელობა აწარმოვონ, ხოლო უკეთესს შემთხვევაში ხომ იგი სრულიად უღონოა შეებრძოლოს და მოსპოს გახშირებული ბოროტმოქმედება და მით უზრუნველ-ჰყოს მცხოვრებთა სიცოცხლე და ქონება. ვერ ვიტყვით, საგუბერნიო ადმინისტრაციას განსაკუთრებული მწუხარება ეტყობოდეს, რომ მისი დანიშნულება და როლი ასე სასაცილოდ აგდებულია და გამასხარავებული, ვერ ვიტყვით, იგი ადმინისტრაცია თავგამოდებით ზრუნავდეს თავის პრესტიჟის აღსადგენად და თავის შერყეულ ხელმწიფების განსამტკიცებლად. პირიქით, ჩვენთვის ადმინისტრაციას ბევრი მაგალითი მოუცია სრული გულგრილობისა და ინდიფერენტიზმის ასეთ აღმაშფოთებელ შემთხვევების დროს; მას არა ერთხელ გამოუჩენია ყოვლად გაუგებარი უმოქმედობა, თითქოს ავაზაკთა დევნა და შეპყრობა, მათთან შეურიგებელი ბრძოლა, პოლიცია-ადმინისტრაციის საქმე არ იყოს! ადმინისტრაციის ასეთი საქციელი თავისთავად მრავალი და სრულიად საფუძვლიანი ეჭვების აღმძვრელია. საზოგადოებას მისდამი ყოველგვარი ნდობა და იმედი ეკარგება. იგი ატყობს, რომ პოლიცია-ადმინისტრაციის ამარა მისი სიცოცხლე და ქონება საფრთხეშია ჩავარდნილი, რომ მას დამცველი არა ჰყავს. დღისით-მზისით რამდენიმე ავაზაკი ქალაქს ჩამოუქროლებს, ქორივით დაეცემა შუაგულ ბაზარში თავის მსხვერპლს და ყველას თვალწინ გაიტაცებს. და პოლიცია, თითქოს თვალებზე ხელს იფარებდეს, არ უნდა დაინახოს თუ ვინ არიან გამტაცებლები, ან საით მიჰყავთ მოტაცებული მსხვერპლი.

ქუთაისი პატარა ქალაქია, ამ პროფესიულ ავაზაკთა ბუდის მიგნება და აღმოჩენა ძნელი საქმე არ უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ ცოცხალი ადამიანების ტაცობა სისტემატიურად ჰხდება ამ უკანასკნელი ათი-თერთმეტი წლის განმავლობაში და პოლიციასაც ძალა-უნებურად ამ მოვლენაზედ ყურადღების მიქცევა ასე თუ ისე მაინც უხდებოდა. პოლიცია ვალდებული იყო შეექმნა ამის წინააღმდეგ საბრძოლი საკუთარი ორგანიზაცია; თუ ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდებოდა, რომ მთავრობა პოლიციურ-ადმინისტრატიულ ღონისძიებით ვერაფერს გახდებოდა, მაშინ საზოგადოების კეთილდღეობის გულისთვის მას თვით მცხოვრებთათვის უნდა მიემართნა; მთავრობისა და საზოგადოების თანამშრომლობა და შეთანხმებული მოქმედება ამ ბოროტმოქმედებას თანდათანობით აღმოფხვრიდა. სამწუხაროდ, კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია დღემდე არ დაადგა ამ ერთად-ერთ გონივრულ გზას, მიუხედავად იმისა, რომ იგი აშკარად ხედავს ერთის მხრით ამ ბოროტმოქმედების გახშირებას, ხოლო მეორეს მხრით გუბერნიის ადმინისტრაციის სრულს უძლურებას ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში. რაც შეეხება საზოგადოებას, იგი დარწმუნებულია, რომ გუბერნიის ადმინისტრაცია და პოლიცია თავის დანიშნულების სიმაღლეზე ვერა სდგას და რომ იგი პირნათლად არ ასრულებს თავის მოვალეობას.

ხოლო ასეთ პირობებში, საზოგადოების გამრჯე და სასარგებლო წევრს თავისი პროფესია ვერ უკეთებია დი ადრინდელი გარჯა-მუყაითობით დაგროვილი ორიოდე გროში კეთილ ცხოვრების მაგიერად, მასა და მის ოჯახს უბედურობის სათავედ გადაქცევია. ექიმს ვერ უექიმნია, ვაჭარს ვერ უვაჭრნია, ვექილს ვერ უვექილნია, სოფლის მუშას დაფნა და აბრეშუმი ვერ მოუწევია! ერთი მუჭა ავაზაკის წყალობით, აზრი ეკარგება საზოგადოების წევრის სოციალურ საქმიანობას, რასაც მოსდევს უმეტეს შემთხვევაში საქმეზე გულის აცრუება და მისი განგრძობაზე სამუდამოდ ხელის აღება, ან კიდევ თავის სამშობლოდან აბარგება და უცხო მხარეში გადასახლება, როგორც ეს ჩაიდინა ყოვლად პატიოსანმა ქართველმა ვაჭარმა ბ-ნმა ოცხელმა. ამ რიგად მარცხდება მორალი მუყაითობის, გარჯის და საქმიანობის, სწორედ ის მორალი, რომელიც ქართველ კაცს უამისოდაც ძალიან ნაკლებად მოეპოება და რომელიც ამავე დროს ერთად-ერთი საწინდარია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების და ჩვენი ეროვნული ხასიათის გამობრძმედის.

ან თითონ მთავრობამ უნდა ბოლო მოუღოს ამ შემაძრწუნებელ ბოროტმოქმედებას და დაიფაროს საზოგადოება ავაზაკთა საზიზღარი ძალმომრეობისაგან, რომელიც ქონებასთან ერთად მრავალ უდანაშაულო მსხვერპლს იწირავს და ანთხევს გატაცებულ ბავშვთა უმანკო სისხლს! ან და ნება დართოს, რომ თვით საზოგადოებამ საკუთრივ მოაწყოს თავდაცვის საქმე. წეწვა გლეჯასა და ანარქიაში მას ცხოვრება მობეზრდა და აღარც შეუძლიან! ამისთვის არც მთავრობა იქნება საჭირო.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუმინეთის სამხრეთ ასპარეზის შესახებ ცოტა არ იყოს არეული ცნობები მოდის. თუ 2, 3, 4 სექტემბერში იტყობინებოდენ, რომ დობრუჯაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებსო, 5-ში სამაგიეროდ გადმოგვცემენ ვითომ ისევე ამ ალაგას მოწინავე რაზმების შეტაკება ხდებოდეს. დანამდვილებით კი არ ვიცით რა მოხდა, ვის სასარგებლოდ დამთავრდა აქ დაწყებული ერთი კვირის წინ სასტიკი ბრძოლა. ვიცით მხოლოდ, რომ პირველ ხანებში ბულგარელებმა და გერმანელებმა გადალახეს რუმინეთის საზღვარი და ბრძოლით აიღეს ქ. ტურტუკაი და ბალჩიკი. ამ ადგილების დაპყრობით ბულგარეთმა თითქმის დაიბრუნა 1913 წელში დაკარგული თავისი მიწა-წყალი. საინტერესოა ეს ცნობა, მით უფრო, რომ ბულგარელებმა თითქმის სავსებით უზრუნველჰყვეს ჩრდილოეთის საზღვრები შემოსევისაგან. თვით ბუნება დობრუჯისა მეტად ხელს უწყობს მოპირდაპირეს გამაგრდეს და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს რუმინეთის ჯარს. მდ. დუნაიზე აგრეთვე განუწყვეტელი ცეცხლია გაჩაღებული ყველა მთავარ ადგილებში. ზოგან ბულგარელები ტივების საშუალებით ცდილობენ გადალახონ მდინარე და მალახიას შეესივნენ.

ჩვენ ერთი რამ გვაკვირვებს. შესწევთ განა ბულგარელებს და გერმანელებს ძალ-ღონე ან და ჰყავთ კი იმდენი ჯარი, რომ მდ. დუნაიდან მოყოლებული ბალჩიკამდის საერთო შეტევა აწარმოვონ. ბრძოლის ხაზი მეტად გრძელი, მდინარე დუნაის გადალახვა აუარებელ მსხვერპლს მოითხოვს, ჩვენ კი, როგორც გვარწმუნებდენ სატახტო გაზეთები, ვიცით, რომ არც გერმანელებს და არც ბულგარელებს ამ ოპერაციებისათვის საკმაო რეზერვები არა ჰყავთ. ერთი შეიძლება დანამდვილებით ითქვას, ან საერთოდ პრესა სცდებოდა და მოპირდაპირის ძალაზე ზერელე წარმოდგენით მსჯელობდა, ან და თვით ბულგარელები და გერმანელები მხოლოდ დემონსტრაციას ახდენენ და საერთო სერიოზული ბრძოლა მათ სრულებით არ ძალუძთ. უფრო მართალი უნდა იყვეს პირველი მოსაზრება. საერთოდ ძნელი წარმოსადგენია, რომ გერმანეთს, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 70 მილ. უდრის, იმდენად საკმაო ძალების მოკრეფა აღარ შეეძლოს, რომ სადმე ფართოთ აწარმოოს შეტევა. საზოგადოდ მტრის აბუჩად აგდება ყოველთვის საზარალოა. მოპირდაპირის ყოველ მხრივ გაცნობა, მისი ძალღონის გამოაშკარავებაც მთავარი გარანტიაა გამარჯვებისა. არა ერთხელ შეგვხვედრია გერმანეთის გაზეთებიდან გადმობეჭდილი წერილები, სადაც განსაკუთრებით რუსის შესახებ იმდენად დინჯი, ყოველ მხრივ სამართლიანი დახასიათება ყოფილა, რომ კაცს გაუკვირდებოდა, თუ როგორ შესძლო მტერმა ასე გულდამშვიდებით მოპირდაპირის ძალების გათვალისწინება. საჭიროა რუსულმა პრესამაც მაგალითს მიჰბაძოს და მოპირდაპირის მდგომარეობა ყოველთვის სამართლიანად გააშუქოს.

ათინიდან მოსული ცნობა ადასტურებს ბულგარელების მიერ ქ. კავალის

ალებას. როგორც ახლა ირკვევა, ქალაქი თვით საბერძნეთს გადაუცია ბულგარელებისათვის. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია. სჩანს საბერძნეთის მთავრობა ხელს უწყობს მოპირდაპირეს და სცდილობს გენ. სარაილის ჯარს მოქმედების უნარი მოუსპოს, კავალის აღებით გერმანელების წყალქვეშა ნავებს საუცხოვო ბაზა გაეხსნათ. ამის შემდეგ იგინი უფრო თამამად დაიწყებენ ხმელთა შუა ზღვაში მოქმედებას და სოლუნში მიმავალ საფრანგეთის და ინგლისელების გემებზე თავდასხმას გაახშირებენ.

X.

# ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 4 ენკენისთვე. ოფიციალი. დასავლეთ ასპარეზზე არსებითი რამ ცვლილება არ მომხდარა.

**კავკასიის ასპარეზი.** ოსმალებმა კიალკიტას დასავლეთით შემოუტიეს, მაგრამ მოვიგერიეთ. შარახშანის მიდამოებში, მუშის დასავლეთით, ოსმალები თხრილებიდან განდევნეს და ყოზიმა—გიადუკის უღელტეხილისაკენ დაიფრინეს.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. მარზეჟანის სამხრეთ მიდამოებში, მდ. ზოლოტოი ლიპას მარჯვენა ნაპირას, ცხარე ბრძოლაა. რუსებმა მტერი განდევნეს ზოგი სანგრებიდან და ტყვედ იგდეს 14 აფიცერი და 537 ოსმალო ჯარისკაცი. ნარაევუკისა და პოდვისოკე-გალიჩის რკინის გზის მიდამოებში ბრძოლაა. აქ დამარცხებულმა მოპირდაპირემ ტყვედ დაგვიტოვა 3194 გერმანელი მეომარი, მათ შორის 34 აფიცერი. დავლად დარჩათ 20 ტყვიისმფრქვეველი და ორი სანგრის ზარბაზანი. ტყით შემოსილ კარპატის მთებში ადგილ-ადგილ თოვლი დასდო და წყალი გაჰყინა.

**კავკასიის ასპარეზი.** 2 სექტემბერს ღამე ოსმალებმა შემოუტიეს ყარა-მურნუ-სუს მარძელის ხაზზე ესელის გეზით, მაგრამ დიდის ზარალით მოიგერიეს. ოსმალებმა შემოუტიეს კიგის სამხრეთ-დასავლეთისა და რაიატის დასავლეთით, მაგრამ უნაყოფოთ.

—

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან ოფიციალი ცნობაა: კავალის დაჭერის შემდეგ, ბერძნების იქ მყოფი მეციხოვნე ჯარი გერმანელების ჯარის სხვა და სხვა ბანაკებში სტუმრად შეიხიზნეს.

**ბუქარესტი.** რუმინეთის ოფიციალი ცნობა. დობრუჯაში მედგარი ბრძოლაა.

**კოპენჰაგენი.** ინგლისიდან დღენახევარია დეპეშები აღარ მოდიოდა; მიზეზი გამოურკვეველია.

**ლონდონი.** ოფიციალი ცნობა. საფრანგეთის ასპარეზზე 1 ენკენისთვეს ცხარე ბრძოლა იყო. ინგლისის ჯარმა დაიჭირა კომბლის მიდამოები, პოზურმაპომი, ფლერისა, ფუროსა, მარტენ-პიუშინისა და კურსელეტის ტყეების უდიდესი ნაწილები. ტყვე წაიყვანეს 2300 მეომარი; ამათში 63 აფიცერი და 6 ბატალიონის უფროსი. მონსორელის და ნევილ-სენ-ვაასტთან მტერმა ნაღმები ააფეთქა. დღეს მტრის 13 საფრენი გავანადგურეთ. 9 საფრენი ვაიძულეთ ძირს დაშვებულიყო. ჩვენ 4 საფრენი დაგვეკარგა. დილით მოპირდაპირის 2 ჰაეროპლანი ცეცხლმოდებული ძირს დაეცა, მესამე მიწაზე ჩამოეშვა. ჩვენ ერთი საფრენი დაგვეკარგა.

**ხარბინი.** იაპონიის პრინცი კანინი თავისი ამალით პეტროგრადისკენ გაემართა. სადგურზე დიდის ზეიმით შეხვდნენ.

**ლონდონი.** სერბიელებმა სოროვიჩი აიღეს.

**ბუქარესტი.** რუმინეთის მთავარ ბანაკის ცნობა. სტრეიუს ველსა და სიმიუ-გერმანშტატის სამხრეთით ცხარე ბრძოლაა. დუნაის დასწვრივ სამხრეთის ბრძოლის პირზე სროლაა. დობრუჯაში ახალი არაფერი არ მომხდარა.

5 ენკენისთვე

**რომი.** იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა. იტალიელებმა იერიშით აიღეს კარგად გამაგრებული სან-გრადოს სიმაგრე, კარსოზე მოკვეცას მახლობლად და ოპაკიასელას აღმოსავლეთით მდებარე სანგრები. ხელთ იგდეს 1077 ტყვე, მათ შორის 20 აფიცერია.

**პარიზი.** მთავარ ბანაკის ცნობა. სტრუმასა და ვარდარას შორის ძლიერი სროლაა ზარბაზნებისა, ხოლო ველლის გზაზე და მეტჩიკის მიდამოებში შეტაკებაა. ვეტსნიკისა და კატეამაყალანისაკენ ფრანგებმა წინ წაიწიეს. სერბიელებმა ოსტროვოს ტბის დასავლეთით მოპირდაპირეს 32 ზარბაზანი წაართვეს. ფრანგ-რუსთა ჯარმა მოლარეკის მთა გადალახა და ფლორინისაკენ მიემართება.

**ათინა.** უკეთუ ზოგრაფოსმა არ იკისრა ახალ სამინისტროს შედგენა, მაშინ ამ საქმეს მიანდობენ ევზეის დეპუტატ კალოგოროპულოს, რომელიც თოოთოკის პარტიას ეკუთვნის.

**ბუქარესტი.** რუმინეთის მთავარ ბანაკის ცნობა. ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ასპარეზზე რუმინელები წინ იწევენ. მათ ბრძოლის შემდეგ აიღეს ჰომორა, დალმასი და ფოგარასი. ტყვედ წაიყვანეს 10 აფიცერი და 900 ჯარისკაცი. მდ. ესტრეიუს ველში მედგარი ბრძოლა გრძელდება. ბაროლმარეს სამხრეთით მდებარე ბრანის მთა ხელიდან ხელში გადადიოდა, ბოლოს რუმინელების ხელში დარჩა. სამხრეთის ასპარეზზე დუნაის ორივ ნაპირზე ბრძოლაა ზარბაზნებით. მდ. ოლთუსა და მდ. დუნაის შესართავთან რუმინელებმა დაღუპეს სამხედრო სურსათით დატვირთული ორი ნავი. დობრუჯაში მოპირდაპირის პირველ რაზმებთან არის შეტაკება. აქ ბრძოლა ჰაერშიაც სწარმოებს. მოპირდაპირის მფრინავებმა კონსტანცას ყუმბარები დაუშინეს, მოჰკლეს 2 და დასჭრეს 4 მშვიდობიანი მცხოვრები.

**ჰავრი.** ბელგეთის ოფიციალი ცნობა. დიქსმიუდის ჩრდილოეთით მტრის იერიში მოიგერიეს.

**ლონდონი.** ათინიდან იტყობინებიან: ახალ კაბინეტში მოჰხვდნენ: კალოგერმოპულოსი—მინისტრ პრეზიდენტად, სამხედრო და ფინანსთა მინისტრად, დამიანოსი—საზღვაო მინისტრად, რუფოსი—შინაგან საქმეთა მინისტრად, ბოკოტოპულოსი—იუსტიციისა, კანარისი—სახალხო განათლებისა, კაფთონგოლოსი—გზათა მინისტრად და ბასაიოსი—სახალხო მეურნეობის მინისტრად.

**სტოკჰოლმი.** ვოლფის სააგენტომ გამოაცხადა გერმანეთის იმპერატორის დეპეშა: მაკენზენმა დობრუჯაში გადამწყვეტი ბრძოლა მოიგოო. ამბობენ, ეს დეპეშა განგებ გამოამჟღავნეს, რომ ახალ სესხის აღებას ასეთი ცნობით მაინც ხელი შეეწყონო.

**ათინა.** ახალმა მინისტრ-პრეზიდენტმა კოლოგერმოპულოსმა, ფიცის მიღების შემდეგ, გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა: მთავრობა მოკავშირეებისათვის კეთილგანწყობილ ნეიტრალობას დაიცავსო.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

**რუმინეთის ასპარეზი.**

„ოგლინი“ სწერს: დობრუჯის საზღვარზე, თურთუკაისა და ბალიჩკის დაპყრობით, ბულგარელებმა მიაღწიეს იმ მიჯნებს, რომელიც 1913 წლის ომამდე მათ ხელში იყო. ეს ადგილები მთაგორიანია. ბულგარელები მაღლობებიდან დაუშინებენ დაბლობებიდან მიმავალ მტერს. ეს დიდი უპირატესობაა მათი და მოგერიებით ბრძოლას დიდად გაუადვილებს.

ბულგარელები დუნაის მარცხენა ნაპირზე სცდილობენ გადასვლას ვოლოხიაში შესაჭრელად. ამას დიდი ცოცხალი ძალა დასჭირდება. დობრუჯის მხარეს ბულგარელების გალაშქრებას არავინ მოელოდა, რადგანაც ეგონათ სამისოდ ჯარი არ გასწვდებაო, მაგრამ რაკი ეს აზრი არ გამართლდა შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ბულგარელებს საკმაო ჯარი ჰყავთ ვოლოხიაში შესასევად. ვოლოხიაში მათი შეჭრა კი ხიფათში მაშინ ჩააგდებს მოპირდაპირეს, თუ მტერი ვოლოხიას ერთსა და იმავე დროს ორი მხრით მიაწვება—სამხრეთით და ჩრდილოეთით.

**საბერძნეთში.**

**ზაიმისის მოადგილე.**

„რ. ვ.“ მეთაურში სწერს: თუ ზაიმისის მოადგილედ დიმიტრაკოპულოსს მიიწვევენ, ეს იქნება საბერძნეთის ახალი ხრიკი ორპირული პოლიტიკის გასაგრძელებლად.

**თავდასხმა ათინაში.**

ათინაში საფრანგეთის საელჩოს დარბაზში მოკავშირეთა დესპანებს სავანგებო თათბირი ჰქონდათ. ამ დროს შიგ შეიჭრა 40 მოწინააღმდეგე ვენიზელოსისა და სამტრო დემონსტრაცია მოახდინეს. საფრანგეთის მისიის დარაჯად ამას შემდეგ ფრანგი მეზღვაურები დააყენეს. ზაიმისმა ბოდიში მოიხადა საფრანგეთის დესპანის წინაშე. მოკავშირეებმა მოითხოვეს დამნაშავეთა დასჯა; საბერძნეთის მთავრობამ აღუთქვა, თუმცა დამნაშავეთა ვინაობა ჯერ ვერ გამოურკვევიათ.

**ჰოლანდია ბელგიის საზღვარზე.**

„ბერლ. ტაგებლ.“-ი იტყობინება: გერმანელების მოსაზღვრე სადარაჯოები ჰოლანდია-ბელგიის მიჯნაზე მთავრობის განკარგულებით ადგილ-ადგილ ას-ასი ადლით უკან დასწიეს საზღვარზე გავლებულ ელექტრონით გაჟღენთილ მართულის ხლართისაგან. მიზეზი საიდუმლოებით არის მოსილი.

**დიმიტრიევის აზრი.**

ავსტრია-გერმანეთი ყოველის ძალღონით წაეხმარებიან ბულგარელებს რუმინეთის გასასრესად, რადგანაც, თუ მოკავშირეებმა ბულგარეთი გადალახეს და დაიპყრეს, ავსტრია-უნგრეთს არაფერითარი გასაქანი აღარ დარჩება. მეორე მხრივ, მხოლოდ რუმინეთის განადგურება უშველის მოპირდაპირეს გამოასწოროს საქმე აღმოსავლეთის ასპარეზზე, სადაც რუსის ჯარი მათს მარცხენა ფრთას უვლის. ამისათვისაცაა, რომ მოპირდაპირე არავითარს მსხვერპლს არა ჰზოგავს ბულგარეთის გადასარჩენად, თუმცა რუმინეთის ასპარეზზე გერმანელები და ოსმალები იმდენს ჯარს ვერ მიაშველებენ, რომ რუმინეთს სერბეთის ბედი ეწიოს.

**გერმანეთის ახალი მზადება.**

გერმანელ პარტიათა ბელადების კონფერენცია მოხდა კანცლერის თანადასწრებით, სადაც გადასწყვიტეს: საჭიროა ზამთრისათვის სამზადისიო, ე. ი. საჭიროა მზადება ომის მესამე წლისათვისაო. ეს იმის მომასწავებელია, რომ გერმანელები ახალის გეგმით აპირებენ მომავალ გაზაფხულზე მოპირდაპირეებზე გადამწყვეტ იერიშებით მისვლას. ჰინდენბურგმა სთქვა: „მხოლოდ მაშინ შევუტევ მტერს, როცა გამარჯვებაში დარწმუნებული ვიქნებიო“. ალბად, მისის აზრით, მომავალ გაზაფხულზე იმდენად მომზადებული იქნება გერმანეთი, რომ ჰინდენბურგმა შეტევა დაიწყოს.

# უკანასკნელი დეპეშები

გაზეთების ცნობით დასავლეთი ფრონტი გერმანელებს სამს ნაწილად გაუყვიათ. ვიტენბერგის ბატონიშვილისთვის ფლანდრია მიუნდვიათ, ბავარელ რუპრეხტისთვის—სომის მიდამოები, ხოლო კრონპრინცისთვის ვერდენი და მისი მიდამოები. დასავლეთის ფრონტზე თვითეულ ამათგან განსაკუთრებული ადგილები აქვთ მიჩენილი.

—

აგვისტოს განმავლობაში გერმანელებმა ნორვეგიის 12 სავაჭრო გემი დაღუპეს.

—

როტერდამიდან იტყობინებიან: ინგლისის ნავთსადგურები დაიხურათ. სამხედრო მოსაზრებით ტელეგრაფი აღარ მუშაობს. გემთა პატრონები გააფრთხილეს, რომ ინგლისიდან აღარ გავიდნენო.

—

კაიზერ ვილჰელმის სადგომში დიდი საიდუმლო მუშაობა სწარმოებს. ჯერ იყო და მის სადგომში მივიდა ბულგარეთის მეფე ფერდინანდი თავის შვილით და შტაბით. შემდეგ ენვერ ფაშა, რომელმაც კაიზერის ნახვამდე ავსტრიის შტაბში იყო. კაიზერმა ამ ბოლო დროს თავისთან ბეტმან-ჰოლვეგი გაიწვია. გენერალი ფლანცერი თანამდებობიდან გადააყენა.

—

საბერძნეთის საქმეების თაობაზე მოფემისტერს შტიურმერს თათბირი ჰქონდა ინგლის-საფრანგეთის ელჩებთან. თათბირის დასკვნას ჯერ არ ამჟღავნებენ.

—

საფრანგეთიდან იტყობინებიან, სანდო პირების ცნობით თურმე ჰინდენბურგს განზრახვა ჰქონია წარსულ პარასკევს მდ. მაასზე შეტევა დეწყო, მაგრამ ეს გეგმა ვერ აუსრულებია. ამბობენ, ჰინდენბურგი დასავლეთ ფრონტზე დიდ საქმეების განსახორციელებლად მივიდაო.

—

ბერლინიდან ჩიკაგოში მოსულს ამერიკელს უთქვამს: გერმანეთში ვნახე ორი უზარმაზარი „ცეპელინი“, თითო მათგანს შეუძლიან დახძრას 60 ტონი საქონელი. ეს ცეპელინები ევროპიდან პირდაპირ ამერიკაში იფრინავენო.

—

შვეიცარიელ გაზეთების ცნობით უნგრეთი ჯარში იწვევს 14—18 წლის ახალგაზრდებს და 50—70 წლის მოხუცებს. ამბობენ, ამათგან 300,000 მეომარი შესდგებაო.

—

„ნოვოე ვრემია“ სიხარულით ეგებება უწ. სინოდში რაევის ობერ-პროკურორის ადგილზე დანიშვნას. გაზეთი დარწმუნებულია, რომ ვოლჟინისგან აწეწილ-დაწეწილ საქმეებს კეთილად მოაგვარებსო.

—

საბერძნეთში ზაიმისის მოადგილედ დიმიტრაკოპულოს აპირებენ, მაგრამ მოკავშირე სახელმწიფოს ელჩები თანახმანი არ არიან და ამბობენ, რომ ზაიმისის ადგილი ვენიზელოსმა უნდა დაიჭიროსო.

—

„უტ. როსიის“ ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროს კავკასიის ერობის შესახებ მუშაობა დაუმთავრებია. სამინისტროს საქმე ისე დაუდასტურებია, როგორც თბილისში უმრავლესობამ შეიმუშავა.

—

ბუქარესტიდან ცნობაა: ბაზარჯიკის მიდამოებში რუსეთ-რუმინეთის ჯარს გერმანეთ-ბულგარეთის ჯართან დიდი შეტაკება აქვსო.

—

სატახტო გაზეთების ცნობით საბერძნეთს შეუძლია 300,000 მებრძოლი გამოიყვანოს.

# დეპეშა

(საქ. კორესპონდენტისაგან).

**მოსკოვი** საკმარისად აცივდა. ქართველი სტუდენტობა საშინელ გაჭირვებას განიცდის. შავი პური არ იშოვება. გირვანქა კარაქი 180 კ. ღირს. ოთახები არ არის. ციხეში დარჩა მრავალი ქართველი. ნაწილმა თავი შეაფარა მოსკოვის ქართველთა საზოგადოების ბინას და ამავე საზოგადოების ლაზარეთს. ოთახი თვეში 40—50 მ. ნაკლებ არ არის, თვეში 80—90 მ. ნაკლებ ცხოვრება შეუძლებელია.

ვ. კაპანაძისა.

**მოსკოვი.** ბინების უქონლობის გამო მოსკოვის ქართველთა საზოგადოებამ ბინა დაუთმო ჩამოსულ უმაღლეს სასწავლებლის მოწაფეთ ქალთა და ვაჟთა, ვიდრე ბინას იშოვნიდენ. თავისუფალ ადგილების შესახებ ცნობას მიიღებენ ტელეფონით. 4—28—33.

მოსკოვის ქარ. საზოგ. თავჯდომარე ექიმი ზანდუკელი.

**სპარსეთი.** თეირანს სტოვებენ. რეშტსა და ენზელში დღეს აუარებელი ხალხი ირევა. ეს ადგილები საერთოდ საავადმყოფო ადგილებად ითვლება; აქ ზაფხულობით თავს იყრის მთელი თეირანელი წარჩინებული სპარსელობა და ევროპიელთა კოლონია, რომელთათვის აუტანელია სპარსეთის სატახტო ქალაქის ზაფხულის სულის შემხუთველი პაპანაქება და მტვერი. რაც რუსებმა ქამადანი დასტოვეს, გამოქცეულთა რიცხვმა დიდად იმატა. ყველას სომხობა სჭარბობს. ბინისა და ოთახის შოვნა აღარ არის. ყველაფერზედ წარმოუდგენელი ფასებია დაწესებული.

ქართველი მხედარი.

# იონა ბერი (ელაშვილი)

(გაგრძელება. იხ. „საქ.“ № 197).

იონა ბერი, ხელაშვილი, ქიზიყელი იყო ს. ვაქირიდგან, მისი მშობელნი გიორგი-მარიამი ღარიბი აზნაურთაგანნი იყვნენ. იონა დაიბადა 1773—4 წლებში. ჯერ ისევ ექვსის-შვიდის წლისა ხშირად დადიოდა საყდარში წირვა ლოცვაზედ. მისი საყვარელი გასართობი იყო წიგნების ფურცლვა, სადაც კი მოახელებდა, და ნატრობდა—„ნეტა როდის მეღირსება ჩვენი დიაკვანივით წიგნსა ვკითხულობდეო“. მშობლებმა იონას ესრეთი სამწიგნობრო ალლო რომ ნახეს, აიღეს და იქვე ვაქირის ნათლისმცემლის ტაძრის მღვდელს ზაქარია დემეტრაშვილს მიაბარეს სასწავლებლად. სწავლის მაგიერად მამა ზაქარიამ ძროხაში უკრა თავი პატარა იონას, ყოველ დღე ქიან ტყისაკენ ერეკებოდა ხოლმე საქონელსა, მაგრამ მეძროხობა ჭკუაში არ მოსდიოდა იონას და ორიოდე თვის შემდეგ დაჰკრა ფეხი და ანაგურ ურმების ალალს გაჰყვა, ქალაქში გაიპარა. აქ იმდენი მოახერხა, რომ ერეკლე მეფე ნახა, დაჩოქილი მოეხვია მუხლებზედ და თავისი დარდი მოახსენა*), შეევედრა—„უბრძანე ვისმეს წიგნი მასწავლონო“. მეფემ მეტეხის სკოლის მოძღვარს დეკანოზს იესეს მიაბარა 1795 წ. მარტის დამდეგს. იესე დეკანოზმა იონა შეიყვანა სკოლაში და ასე გააცნო მოწაფეებსა: „აჰა, მიბოძა მეფემან კაცი ესე ულვაშთა აღმოჩენილი, მქისიყელი, უალფავიტო... იყავნ ნება ხელმწიფისა ჩვენისა, რომელმან მეტეხი ესე მტერსა—სპარსთა მისტაცა“.

ამის შემდეგ იესემ უბრძანა ხალიფად წოდებულსა, იოანე ზედამდგომელსა მოსწავლეთასა **ანბანთა სწავლებად**. ნიჭიერმა იონამ სამს დღეზედ დაისწავლა სამივე ანბანი—ასომთავრული, ხუცური ნუსხა და მხედრული. ერთს კვირაზედ „იწყო—შესხმათა (ნოვაგთა) წერა“; ამ დროს შეელოდა „ფრიად მლოცველი მესაწოლე უმაღლესთა (დედოფალთა) ელენე“. იმ გაზაფხულზედ დიდი თარეში ლეკებისა მიუხდა ვაქირსა და აიკლეს, მრავალი ხალხი დახოცეს და ტყვედ წაასხეს; იონას მამა გიორგი ოთხი ვაჟკაცი შვილებით (იობი, სოლომან, გიორგი და იოსები) დახოცეს. ამის გამო ერეკლე მეფემ ძაძა ჩააცვა იონას და შესაფერათ ნუგეშისცა. მეტისმეტი მწუხარებისაგან ავათ გახდა იონა, საოფლე გამოაჩნდა და გარეთუბანს გახიზნეს ერთ გლახაკთან. ამ ავათ ყოფნის დროს რამდენჯერმე ნახა და ანუგეშა საბრალო იონა „ჭეშმარიტმან მღვდელმან პართენ მოძღვრის ძემან“. მალე მორჩა იონა, მაგრამ ახლო არავინ ეკარებოდა. ამიტომ იძულებული იყო ავლაბრიდგან ანაგურ ურემზედ გაჰყოლოდა ვაქირისაკენ. ივლისში მკის დროს ახლა დედა მოუკვდა იონას ძუძუთა ბავშვით. უბედურმა იონამ აღარ იცოდა რა გზას დასდგომოდა. სახლში მარტოკა ვეღარა სძლებდა, ადგა და ნათლისმცემლის სამრეკლოში დაბინავდა და მღვდელმონაზონ დავითთან ფსალმუნთა კითხვასა სწავლობდა. ამ დროს მოვიდა ამბავი აღამაჰმად ხანისაგან თბილისის აოხრებისა, სადაცა სტანჯეს „შიმუნვარი (მოახლე) ელენე, ქრისტესთვის წამებული“. იმავ შემოდგომაზედ ერეკლე მეფე ჩაბრძანდა თელავიდგან ქიზიყში და ასე მწარედ დაობლებული იონა ბოდბელს იოანე მაყაშვილს მიაბარა სკოლაში, მაგრამ მალე გაანება თავი აქაურობასა და თელავისაკენ გასწია, სადაც კარის მღვდელს იოანეს (ზუკაკიშვილი?) ჩააბარა მეფემ სასწავლებლათა. წიგნები რომ არა გააჩნდა რა იონას, ერეკლე მეფის სალოცავ წიგნებში სწავლობდა.

1797 წ. თებერვლის 4—5 ერეკლე მეფე თელავიდგან თბილისში ჩამობრძანდა და იონაც თან იახლა. იმ გაზაფხულზედ დიდი შიმშილობა ჩამოვარდა ქართლ-კახეთში. თიბათვის რვაში, თუ ცხრაში ყარაბაღელმა სომეხმა ფრიდონ მელიქმა ახარა ერეკლე მეფეს აღამაჰმად ხანის მოკვლა შუშაში. ერეკლემ გაამხნევა ქალაქელები და მალე თელავისაკენ წაბრძანდა, რადგან ამ დროდგან ავათ გახდა, ნელნელა გაუძლიერდა საშინელი სენი—წყალმანკი. იმ ხანათ იონა სუფრაზედ მოსამსახურედ ახლდა და თან საამო წიგნებს უკითხავდა ჩალოგინებულს მოხუცს ერეკლესა. გიორგი მეფემ იონა თელავის სემინარიის რექტორს დავითს მიაბარა. გიორგის შემდეგ ანტონ კათალიკოზმა იონა ნათლისმცემლის უდაბნოს არხიმანდრიტს ეფთვიმეს ჩააბარა, მაგრამ აქ სამი თვის მეტი ვერ გასძლო იონამ და შიომღვიმეში ავიდა; აქედგან ლეკებისაგან აკლებულ ქვათახევის მონასტერში გავიდა დოსითეოზ წინამძღვართან. აქ სამი წელიწადი დაჰყო. იმ დროს ქვათახევს 900 ლეკი თარეში დაეცა და 4 კომლი დედაბუდიანათ აიკლეს და ტყვედ წაასხეს. წინარეხში იონამ შეკრიბა პატარა ბიჭები და გულსმოდგინეთ დააწყებინა წერა-კითხვა. მეორე წელიწადს მოვიდა აქ ლეჩხუმელი სერაპიონ ბერი, შაბათკვირა მლოცველი და მმარხველი. დადგებოდა გაზაფხული და ბავშვები ეფანტებოდნენ ლეკთა შიშისა გამო, სერაფიონი კი ახალ-ქალაქში გადადიოდა. 1803 წ. მარტში იონამ გაიგო დედოფლების და ბატონიშვილების რუსეთში გადასახლება და ფრიად შეწუხდა. იმ ხანად დოსითეოზ არქიმანდრიტი მუხრან ბატონებს და ახალ მთავრობას ედავებოდა სამონასტო მამულებზედ.*) იონას ყურისმგდებელი და პატრონი ალარავინა ჰყავდა. ადგა კათოლიკოზ ანტონთან ქალაქში ჩამოვიდა და შეეხვეწა—რუსეთში გამისტუმრეო. კათალიკოზმა შესაფერი ოქმი უბოძა, მთავარმმართებელს ციციშვილისგანაც სამგზავრო ქაღალდები აართვა 1805 წ. მარტში და 2 აპრილს შუადღის ხანს იონა ფეხით გაუდგა რუსეთისაკენ და იმ საღამოს მცხეთაში ავიდა. მეორე დღეს, 3 აპრილს, ფარნაოზ ბატონიშვილი, ერეკლე მეფის ძე, ჯარისკაცებმა ამოიყვანეს ცოლშვილიანათ. ბატონიშვილმა იცნა იონა და თან გაიყოლა დიდხუთშაბათს დღეს, იმ ღამეს სოფ. ბულაჩაურში მივიდნენ. მეორე დღეს ანანურში და აქედგან კაიშაურში. წმ. აღდგომის დღე ასწიული აქ გაატარეს**) მეორე დილით ხევზე გაემგზავრნენ, საშინელი ქარბუქიანი თოვლი ეყრიდა პირზედ და კინაღამ გზაში დაიღუპნენ. იმ ჯოჯოხეთს ამინდში ფარნაოზის პატარა ელისაბედი იონას მხარზედ ეჯდა და დიდხევამდე ხან ასე მიჰყავდა, ხან ფეხით მიჰყავდა და და რის ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ს. ყაზიბეგში გაბრიელ მაიორის სახლში. ის ღამე იქ გაათიეს. მეორე დილით განთიადისას რუსის მაიორი ჯარის კაცებით დარისისაკენ გაუძღვა დაკავკავში ჩავიდნენ, სადაც სამი დღე დაისვენეს. აქეთგან გასწიეს ყუმბალას და ყაბარდოზედ მოზდოკში ჩავიდნენ, თბილისიდგან ორი მღვდელი ახლდა ფარნაოზს თომა და ონოფრე, აქ 7 დღე დაასვენეს და მერე ეტლებით წაიყვანეს ეკატერინოდარში, იაგორისად და სტავროპოლს. აქედგან „დონწვის სოფელს“ ცხენოსან ყარაულს ქვეშ და ასე ცხენის ჰენებით ოთხდღეზედ დონის მდინარეზედ მივიდნენ. ვორონეჟში 31 მაისს მივიდნენ.

მღ პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) ხელაშვილების საგვარეულო სამეფო ოჯახთან დაახლოვებული იყო. ანნა დედოფალმა, ერეკლეს პაპის დედამ, მიიყვანა ახალგაზრდა დიმიტრი ხელაშვილი, გააზრდევინა მწიგრობობისა და გალობის გამოცდილ მოძღვართა თეიმურაზთან ერთადშემდეგში, ფშავშიყოფნის დროს. ერეკლე ბატონიშვილის მასწავლებლად იგივე დიმიტრი დაადგინეს აბელ მოურავთან ერთად. ამიტომ 1724—1738 წლებში, იმ საშინელ მღელვარე დროს დიმიტრი თან ახლდა სამეფო ოჯახსა განუშორებლივ ფშავში, ხევში, თუშეთში. ამ დროს დიმიტრი მღვდლათ აკურთხებინეს ალავერდელს ონოფრე ანდრონიკაშვილს და თავის მოძღვრათ გაიმწესეს. ერეკლე მეფის შვილებს ვახტანგს და გიორგისაც დემეტრეს შვილი იოსები ასწავლიდა გალობასა და წიგნსა. ლეონ ბატონიშვილი რომ გაისტუმრა ერეკლემ რუსეთში, თან იოსებ მღვდელი ახლა 1774 წ. დიმიტრი მღვდლის ძმა ნიკოლოზ მღვდელი (შემდეგ არხიმანდრიტი) და ამისი ძე გიორგი დიაკონი მგალობელთა გუნდს მეთაურობდნენ სამეფო კარის საყდრებში ერეკლე მეფის დროს. ამიტომ ერეკლე მეფემ ხელაშვილებს უბოძა აზნაურობა 1777 წ. იხ. „ქართული სასულიერო და საერო კილოები: 1898 წ. 63—65 გვ.

*) იმ დროს ქვათახევის მონასტერი შიომღვიმეზედ იყო მიწერილი და წინამძღვრათ მართლა არქიმანდრიტი დოსითეოს არჯევანის ძე ფიცხელაური იყო და მონასტრის მიმძლავრებულს მამულებს ედავებოდა ამილახვრებს და მუხრან ბატონებსა (იხ. შიომღ. გუჯრ. ჟორდანიასი, 82-89 გვ.)

**) 1805 წ. აღდგომა 9 აპრილს იყო. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები 1804 წ. იმერეთში სცხოვრებდნენ ს. შაღორბელევში. ცხინვალში მას შტაბსკაპიტანი ნოვიცკი გადაეპარა ღამე 24 ივნისს, გათენებისას თავს დაესხა და იულონი შეიპყრო; ფარნაოზმა კი გაქცევა მოასწრო და პერანგაზედ ლიახვისაკენ გადავიდა, აქედგან კი ყაზიბეგში ნესვეტაევთან საბრძოლველად. აქ რომ საქმე გაუჭირდა, მთიულეთში გადავიდა, მერე ერევნისაკენ გზას დაადგა ლვინობისთვეში და ალექსანდრე ბატონიშვილისაკენ გასწია. ერწოდგან სუჰყუდანზე უდაბნოების ბოლოზე დემურჩასალში ჩავიდა. აქ ჩასაფრებულმა ღენერალ-მაიორმა თამაზ ორბელიანმა შეიპყრო ფარნაოზი მხლებლებიანათ: პოეტი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, დუდა მანსუროვი, ყაბარდოელი. იულონი და ფარნაოზი 1805 წ. 3 და 4 აპრილს ცალკ-ცალკე გაისტუმრა მთავარმართებელმა ციციშვილმა რუსეთისაკენ. იულონი მიიყვანეს ქ. ტულაში 13 ივნისს და აქ დაბინავეს, ფარნაოზი კი ქ. ვორონეჟში 30 მაისს. დუდა მანსუროვი თბილისშივე ციხიდგან გაექცათ და თავს უშველა. იულონი მიიცვალა პეტერბურგში 1816 წ. აგვისტოს 23, ხოლო ფარნაოზი 1852 წ. მარტის 30, იქვე-

# ახალი ამბავი

## სასახლეში

**ხაქართველოს ექსარხოსი პლატონი**, კვირას 4 ენკენისთვეს, წარუდგა მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და მის მეუღლეს დიდ მთავარ ანასტასია ნიკოლოზის ასულს.

## ქართული დაწესებულებანი.

**ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოება.** როგორც ვიცით, ამ საზოგადოების წესდება უკვე დაამტკიცა მთავრობამ და საზოგადოება მოქმედებას უნდა შეუდგეს. 3 ენკენისთვეს შეიკრიბნენ საზოგადოების მოთავენი და თათბირი ჰქონდათ საორგანიზაციო საქმეებზე. გადასწყვიტეს მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება 16 ღვინობისთვეს. აგრეთვე გადაწყდა დაბეჭდონ საზოგადოების წესდება და მოსაწვევი ბარათები. კრებამ აირჩია საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა გამართოს დამფუძნებელი კრება.

**ქართველ ხელოვანთა საზოგადოება.** ამ საზოგადოების წევრები კარგა ხანია, რაც სოფ. ნაბახტევში (ზემო ქართლი) იყვნენ და იქაურ მე-14 საუკუნეში აგებულ ეკლესიის გეგმასა და მხატვრობას იღებდნენ. მხატვრებს სავსებით დაუმთავრებიათ მუშაობა: გეგმა ეკლესიისა და ფრესკები გადაღებულია. რადგან ნორჩ საზოგადოებას თავისი საკუთარი ბინა არ მოეპოება, მხატვრების ნამუშევარი დროებით მოთავსებულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში.

**აჭარელთა ბავშვების შენახვა.** ქართ. საქვ. საზ. გამგეობამ მოისმინა ქართ. ქალთა საზოგადოების წინადადება აჭარელთა ბავშვების უზრუნველყოფად, გამგეობამ დაადგინა: მადლობა გამოეცხადოს ქალთა საზოგადოებას წინადადებისათვის და გადაეცეს ამ საზოგადოებას 200 მან. აჭარელთა ოთხი ბავშვისათვის ტანთსაცმელის სასყიდლად. ამავე საზოგადოებას ეთხოვოს ბინის შოვნა და მზრუნველობა. აგრეთვე გამოეცხადოს ივ. ჯაფარიძეს მადლობა ერთი ბავშვის, ნუღაიდელის, თავის ხარჯზე აყვანისათვის.

**„ხარფუხის კლუბის“** წევრთა საზოგადო კრებამ, რომელიც კვირას 4 ენკენისთვეს შესდგა, დაადგინა: ვინაიდან კლუბისთვის ზამთრის ბინა ვერ მოსძებნა მამასახლისთა საბჭომ, კლუბი დაიხუროს მაისამდე, ასე რომ საზამთროდ კლუბი არ იარსებებს.

**მოვალე სტიპენდიანტები.** ქართ. შორის წ. კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა: მიენდოს საზოგადოების იურისკონსულტს ი. კ. რაზმაძეს მიიღოს შესაფერი ზომები საზოგადოების ყოფილ სტიპენდიანტებზე დარჩენილ ვალის გადასახდელად. ზოგიერთ მათგანს დღეს კარგი ჯამაგირი აქვთ. ამ სტიპენდიანტებზე დღეს დაახლოებით 10 ათას მანეთამდე ირიცხება ვალი.

**თავშესაფარის ბავშვების ტანთსაცმელი.** ბათომის რაიონულ განყოფილებამ აცნობა ქ. საქველმოქ. საზ. მთავარ გამგეობას, რომ ბათომის თავშესაფარისთვის საჭიროა მოკლე ხანში საზამთროდ თბილი სამოსელი 50 ბავშვისათვის, დაახლოვებით 8—12 წლისა, მათ შორის 25 ქალისთვის და 25 ბიჭისათვის. გარდა სამოსელისა საჭიროა ლოგინი და საცვალი და სთხოვს მთავარ გამგეობას, გამოუგზავნოს მთელი ეს საქონელი თბილისიდან, რადგან ბათომში ძლიერ ძვირადა ფასობს ყველა ეს საქონელი ან ზოგიერთი სრულიად არმოიპოება.

## მთავრობის დაწესებულებანი

**გუბერნატორის განკარგულება შაქარზე.** თბ. გუბერნატორი აცხადებს, რომ იმ დაწესებულებათ და პირთ, რომელთაც სთხოვეს მას შაქრისა და შაქრის ფხვნილის დათმობა იმ სურსათიდან, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება, უნდა მიმართონ ქალაქის თვითმართველობას, ვინაიდან ის სურსათი, რომელიც მის განკარგულებაშია, მიღებულია დასარიგებლად თბ. გუბერნიისათვის და არა ქ. თბილისისთვის.

**სასოფლო-სამეურნეო აღწერილობა** მთელ სამეფისნაცვლოში უკვე დამთავრდა.

**შაშკოვსკის დაბრუნება.** მიწად მოქმედების მინისტრის რწმუნებულს კ. ი. შაშკოვსკის თბილისში 10 ენკენისთვეს მოელიან.

**ლიანდაგის გასუფთავება.** დღიდან ხოლერის გაჩენისა მთელ რკინის გზებზე მიღებულია მკაცრი ზომები მთელი გზის ლიანდაგის და შენობების სუფთად შესანახად. ამ განკარგულების სისრულეში მოსაყვანად თბ. სადგურისთვის რკ. გზის სახელოსნოებიდან დაინიშნა მორიგეობა 80 კაცისა, სადგურის სამგზავრო ბინისთვის 13 კაცი და საქონლის სადგურისთვის 27 კაცი.

**ქალთა უმაღლეს კურსებზე** გუშინ 5 ენკენისთვეს მოისპო თხოვნების მიღება მსმენელთაგან. 3 კვირის განმავლობაში 400 თხოვნაზე მეტი შესულა. ამის გამო ატესტატების კონკურსია დანიშნული.

## ქალაქის დაწესებულებანი.

**შაქრის ფხვნილი** წაუღიათ ქალაქის დუქნებიდან 2 ენკენისთვეს 12,759 სულს, ხოლო ამ დუქნების დღიდან დაარსებისა სულ 806,402 სულს.

**ქალაქის გეგმა.** ქ. თბილისის საერთო გეგმის შესადგენად ამ დღეებში დანიშნულია საგანგებო თათბირი. თათბირზე მოწვეულ არიან თბ. სამიწისმზომლო სასწავლებლის დირექტორი და მასწავლებლები, გამგეობის მოხელენი და წარმომადგენელნი სამოსამართლო პალატისა, სამხედრო-ტოპოგრაფიულ ნაწილისა და კავკასიის სამხედრო საოლქო შტაბისა.

**ბილეთები შაქარზე.** დღეს, 6 ენკენისთვეს, ქალაქის სასურსათო თათბირია დანიშნული. თათბირმა უნდა გამოარკვიოს ქალაქის დუქნებიდან შაქრის სყიდვის პროექტი ბილეთებით.

**კირის სიძვირე.** მიუხედავათ ქალაქის სასანიტარო კომისიის დადგენილებისა, რომ მცხოვრებთ მისცემოდათ კირი უფასოდ ქალაქის კირის საწყობებიდან სასანიტარო ექიმებისა და მზრუნველების ბარათებით, ქალაქის გამგეობის კირის საწყობები დღემდე დაკეტილია და კირს არ იძლევა ქალაქის გამგეობა. მხოლოდ სადეზინფექციო კამერა იძლევა კირს და ისიც ძლიერ მცირედს. კირზედ კი ფასებმა ძლიერ აიწიეს ქალაქში.

**მეურნეში.** კოოპერატივმა მეურნემ უკვე მიიღო ქალაქის გამგეობიდან 143 ტომარა შაქრის ფხვნილი. მიუხედავად კოოპერატივის გამგეობის შუამდგომლობისა, რომ ქალაქის გამგეობას უნდა მიეწონა ეს ტომრები და არა ტრაფარეტის მიხედვით მიეცა (ე. ი. რაც ტომარაზე აწერია), ქალაქის გამგეობა უყურადღებოდ სტოვებს ამ თხოვნას. ამის გამო ამ 143 ტომარა შაქრის ფხვნილიდან, რომელიც გამგეობამ მიიღო, ჯერ-ჯერობით 42 ტომარას 11 ფუთამდე დააკლდა.

**ხოლერა.** 4 ენკენისთვეს, დილის 8 საათზე, ქალაქის ლაზარეთში № 40 იმყოფებოდა ხოლერიანი 109, მიემატა 8, გადმოყვანილ იქმნა ხოლერის ნიშნებიანთაგან 2, გარდაიცვალა 6, გაწერილ იქმნა 1 კაცი. იმავე დროს ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერის ნიშნებით 6, მიემატა 1, გადაყვანილ იქმნა ხოლერიანებში 2, გარდაიცვალა 1 კაცი. ამ რიგად 5 ამა თვეს, დილის 8 საათზე, ლაზარეთში იმყოფებოდნენ: ხოლერიანი 112 და ხოლერის ნიშნებით 4 კაცი. ახალ მიყვანილ ხოლერიანთა შორის ჯარის კაცი არის 1 და განჯიდან ჩამოსული ერთი კაცი. ახლად მიყვანილ ხოლერის ნიშნებიანთა შორის იმყოფება 1 ჯარის კაცი.

სამხედრო გოსპიტალში 3 ამა თვეს მიუყვანიათ ხოლერიანი 1 ჯარისკაცი.

**ქალაქის წყალი.** 3 ამ თვეს პროზექტორმა ბაქტეოროლოგიურად გამოიკვლია ქალაქის წყალი და შიგ არავითარი ვიბრიონი არ აღმოჩენილა.

**განკარგულება ლტოლვილ სომეხთა შესახებ.** გენერალმა თამამშევმა აცნობა ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას, რომ, როგორც მეფის ნაცვლის თანაშემწემ თავ. ორლოვმა გადმოსცა, გამოქცეულ სომეხთა შეხიზნა განჯის გუბერნიაში კვლავ აღარ შეიძლებაო.

**ლაზარეთების მოსამსახურეთა სვე-ბედი.** წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარმა რწმუნებულმა აცნობა ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილებას, რომ, თანახმად გენერალ იანუშკევიჩის განკარგულებისა, ლაზარეთის მოსამსახურეებმა იმდენად უნდა იცოდნენ რუსული ენა, რომ დაუბრკოლებლივ შეეძლოთ ლაპარაკი ლაზარეთებში მოთავსებულ ჯარის კაცებთან. ამ განკარგულების მიხედვით შესაფერისი ცვლილება უნდა მოხდეს ლაზარეთებში.

**საერობო ბიუროს მუშაობის განახლება.** როგორც ვიცით, თავადაზნაურთა საკრებულოებთან არსებულმა საერობო ბიურომ, რომელმაც შეადგინა საერობო რეფორმის პროექტი, უკანასკნელ დროს შესწყვიტა თავისი მოქმედება. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ბიურო ამ დღეებში ისევ განაახლებს თავის მოღვაწეობას. ბიუროს თავჯდომარეს ისევ გ. დ. ჟურული რჩება. პირველი კრება ბიუროს წევრებს ექნებათ 8 ამა თვეს. მაშინ ბიურო გამოარკვევს სამოქმედო პროგრამას და აირჩევს მდივანს.

## სასწავლებლები.

**ხელსაქმის მასწავლებლების დანიშვნის** საკითხი მოისმინა ქ. საქვ.-მოქ. საზოგ. გამგეობამ და დაადგინა: დაინიშნოს ხელსაქმის სამი მასწავლებელი—ერთი ქობულეთის რაიონში, ორი აჭარაში. ჯამაგირი თვითეულს ხუთი თუმანი დაენიშნა და გადაიდო 200 მან. ცალკე სახელსაქმო მასალის შესაძენად.

**ხულოს სახელოსნოს** მასწავლებლად ქ. საქ. მოქ. საზ. გამგეობამ დაადგინა, დაუყოვნებლივ მიიწვიოს გამოცდილი ხელოსანი—ზეინკალი.

**გორის ვაჟთა გიმნაზიაში** ყველა უფროს კლასებში არის თავისუფალი ადგილი. მეშვიდე კლასიდან 5 მოწაფე დაითხოვეს. სხვა გიმნაზიებიდან მოწაფეებს არ იღებენ.

## სხვა და სხვა ამბები.

**პირონეთის ლაზების შუამდგომლობა.** პირონეთის კომენდანტის დ. კლდიაშვილისათვის ადგილობრივ ლაზებს მიუმართავთ თხოვნით ქართულ სკოლის დაარსების შესახებ. არც ფულით, არც სხვა ფრით დახმარება არ გვესაჭიროება, ოღონდ სკოლა დაგვიარსეთო.

**ტრაპეზუნის მუშათა გასაჭირი.** როგორც გვატყობინებენ, ტრაპიზონში გამაჰმადიანებულ ქართველ მუშათა მდგომარეობა მეტად აუტანელ პირობებში ყოფილა ჩავარდნილი. ჭოიჯარადრეები მუშებს ატყუებენ ხელფასის მიცემაში და იმ მცირე ფასსაც არ აძლევენ, რაც მათ ერგებათ. გარდა ამისა მუშათა შორის მძვინვარებს სხვა და სხვა გადასადები სნეულებანი. მეტადრე ციებ-ცხელება ძლიერ არის გავრცელებული. საჭიროა სწრაფი დახმარება.

**დაბრუნდა ლაზისტანში მოგზაურობის** შემდეგ ბ-ნი ნ. ი. ქარცივაძე, რომელსაც საერობო კავშირის მიერ დავალებული ჰქონდა ამ კუთხის მცხოვრებთა საჭიროებასთან გაცნობა. ბ-ნ ქარცივაძეს მრავალი საგულისხმიერო მასალა შეუგროვებია.

**სამეურნეო აღწერა.** კავკასიის სამეფისნაცვლოში სრულიად დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო აღწერა.

**ტრაპიზონიდან დაბრუნდა** რწმუნებული უმაღლესი უფროსი სასანიტარო და საევაკუაციო ნაწილისა გენ.-ლ. თ-დი ორბელიანი.

**დაბრუნდა** თბილისს ახალციხის მაზრიდან თავმჯდომარე ქართველ საქველმოქ. საზოგადოებისა მ. ვ. მაჩაბელი.

## სომეხთა შორის.

**ლტოლვილი სომხები.** ამერიკიდან თბილისს ჩამოსულა 22 სომეხი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენ აზრუმის ძირითადი მცხოვრებნი ვართ და სამშობლოში გვინდა დავბრუნდეთ ჩვენი დაკარგული ცოლ-შვილის საძებრადო. სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს მთავრობის სათანადო დაწესებულების წინაშე შესახებ იმისა, რომ აღნიშნულ 22 კაცისთვის ნება მიეცათ დაპყრობილ ოსმალეთის ადგილებში წასვლისა ცოლშვილისა და დაკარგულ ქონების საძებნელად. მთავრობას შუამდგომლობა არ შეუწყნარებია.

**გენერალი თამამშევი** სთხოვს სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას მოაწყოს აზრუმსა და ერძინჯანში საქონლის საწყობები გამოქცეულ სომეხთათვის.

**ახალი სომხური პიესა.** დრამატურგ ლეონ შონთს, „ძველი ღმერთების“ ავტორს, შეუდგენია ახალი პიესა „ცეზარი“.

## თელავი.

სამშაბათს 30 მარიამობისთვეს თელავის საკრებულო დარბაზში, ადგილობრივი სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „და-ძმა“ ვ. გუნიასი.

— თელავის შემ.-გამ. ამხანაგობამ 1 ენკენისთვეს მიიღო შაქრის ფხვნილი 1 ვაგონი.

— 30 მარიამობისთვიდგან აქაურ ყასბებს ნება დართეს დაკლან საკლავი საქონელი და გაყიდონ.

## გურია.

27 და 28 მარიამობისთვეს, გურიაში დიდი წვიმა მოვიდა, რომელსაც ნიაღვარი მოჰყვა, წყლები ადიდდა, ზოგან ხიდები დაგლიჯა. აცივდა, აჭარა-გურიის მთები დათოვა. ახლა მშვენიერი დაწყნარებული ამინდი დგას.

— ადესა ყურძენის მაჭარი უკვე შემოაქვთ ოზურგეთში. ახლის კარგმა მოსავალმა ძველი ღვინო გააიაფა. ახლა ფუთს ადესას 5 მან. ჰყიდიან. მაჭარი ფუთი 1 მან. 20 კაპ.—2 მანეთამდე ფასობს. ერთ კვირაში სიმინდის ტეხაც დაიწყება.

## ოზურგეთი.

როგორც დაბეჯითებით გავიგეთ, აქედან შორაპანში გადაჰყავთ მაზრის უფროსის თანაშემწე თავ. აქვს. ყარ. აფაქიძე. ბ. აფაქიძე გურიაში ხუთი წელიწადია მსახურებს (უწინ ბოქაულად იყო ლანჩხუთში), ხალხი დიდი კმაყოფილი ჰყავს და მისი გადაყვანა ყველას გულწრფელად სწყინს.

## შემოქმედი (გურია).

პირველ მარიამობისთვიდან იხსნება უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი. ინსპექტორი ვინ იქნება ჯერ არ ვიცით.

## აჭარა.

ზემო აჭარაში საქონლის ჭირი მძვინვარებს, ძლიერ ბევრი საქონელი დაიხოცა, ზოგიერთი სოფელი სულ დაცარიელდა. საქონელს ხოცავენ, მაგრამ პატრონებს არაფერს აძლევენ. საჭიროა მეტი ენერგიული ზომების მიღება, თორემ მთიდან დაბრუნებული საქონელი (ახლა აბრუნებენ) სულ ამოწყდება და მოუსავლობასთან ერთად ეგ ახალი უბედურებაც თავს დაატყდება აჭარლებს.

# სოფლის კოოპერატივები

**მცხეთა.** ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის ინსტრუქტორს ბ-ნ მ. ტოროშელიძეს განუხილავს მცხეთის მომხმარებელ საზოგადოების საქმეები და ამის შესახებ თავისი მოხსენება წარმოუდგინა აღნიშნულ სექციას. როგორც ამ მოხსენებიდან სჩანს, 13 მარიამობისთვეს ამხანაგობას ჰყოლია 250 წევრი. მიმდინარე წლის 26 მკათათვეს ამხანაგობის მთელი ბალანსი უდრიდა 5.747 მან. 12 კ. აქედან საპაიო და საწევრო თანხა შეადგენდა 2.399 მან. ვალები ჰქონია 640 მან. დანარჩენი 2.708 მან. 2 კაპ. შეადგენს საქონელზე დამატებულ პროც. წიგნების მიხედვით წმინდა მოგება ამხანაგობისა უნდა უდრიდეს 1.662 მ. 62 კაპ., მაგრამ წიგნების ანგარიშს არ ეთანხმებოდა საქონლის ნამდვილი რაოდენობა. საქონელი, სარევიზიო კომისიის აღწერით, ნაკლები აღმოჩნდა 469 მან. 36 კაპ., რაიცა შეადგენს მთელი ნასყიდი საქონლის 3%-ზე ცოტა მეტს. ეს ჯამი, რომ ჩამოიწერონ, მოგებიდან, წმინდა მოგება მაინც დარჩება 1.193 მან. 29 კ. და ეს სულ 7 თვის განმავლობაში. აქედან ბ-ნ ტოროშელიძეს ის უტყუარი დასკვნა გამოჰყავს, რომ ამხანაგობის საქმეს კარგი პირი უჩანს. გამგეობა, განსაკუთრებით-კი მისი თავმჯდომარე არ. გედევანიშვილი, საკმაო ენერგიას იჩენს.

—

**კავთისხევი.** 14 მარიამობისთვეს, ამავე ინსტრუქტორს, ბ-ნ მალაქია ტოროშელიძეს გაუცნია კავთისხევის კოოპერატივის საქმეები. ბ-ნი ტოროშელიძე თავისს მოხსენებაში ასე აწერს კოოპერატივის მდგომარეობას:

კოოპერატივი 6 მარიამობისთვეს დაუარსებიათ. ერთ დღეს 200 მანეთზე მეტიც უვაჭრიათ. საშუალო რიცხვით დღეში 55 მანეთის საქონელს ჰყიდიან. შაქარს 40 პროცენტის მომატებით ჰყიდიან, გირვანქას 32 კაპ. მიუხედავად ამისა სოფლის ვაჭრებმა 60 კაპიკიდან მხოლოდ 40 კაპეიკამდე დაიყვანეს შაქრის ფასი. წევრები დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან საქმეს. ჯერ-ჯერობით უკვე ჩაწერილია 244 წევრი, რომელთაც სრულიად შეუტანიათ საპაიე ფული 2.562. სავაჭრო ხარჯებზე გასვლით 277 მან. 15 კაპ., მაგრამ ამაში შედის ბინის ქირა 2 წლის 200 მან. ამხანაგობას ჯერ-ჯერობით არავითარი წიგნები არ აქვს და ამის გამო დიდ უხერხულობას განიცდის. წიგნების წარმოებას კარგად შესძლებს გამგეობის წევრი ი. ჩივაძე, რომელიც ამავე დროს საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეც არის. ჯერ-ჯერობით პასუხის მგებელი ნოქარი არა ჰყავთ. მაღაზიაში მუშაობს გამგეობის წევრი. ბევრი საჭირო საქონელი არ მოიპოვება ამხანაგობას. მაღაზიაში აწარმოებენ ერთ სიას, რომელშიც შეაქვთ, რომელმა წევრმა რა საქონელი მოითხოვა და ამის მიხედვით ფიქრობენ ახალ საქონლის შეძენას. შემოსულ ფულს ინახავენ საკრედიტო ამხანაგობის კასაში. ბ-ნ ინსტრუქტორის შეხედულობით ამხანაგობას კარგი მომავლის იმედი უნდა ჰქონდეს.

# საქართვ. ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ საკითხი თანდათან გამწვავდა და ყოველის მხრით უვლიან მას გარშემო. სჩანს ისე მომწიფებულა იგი, რომ გაჩუმება ცოდვათაც კი უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ, როდესაც ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საგანზე გაიმართება საუბარი, უმეტეს ნაწილად სამღვდელოებაზეა კამათი. უკიჟინებენ ამ წოდებას უმოქმედობას, მცონარეობას, შიშს, სიმხდალეს და სხ. ჩვენც ვეთანხმებით ასეთს კრიტიკოსებს და გვწამს მათი შეხედულება, მხოლოდ ერთი რამეც უნდა ითქვას: უკიდურესობას, ცალმხრივობას გასავალი არა აქვს და, მით უმეტეს, არ ექნება ამ საგნის განხილვის დროსაც. ჩვენი პრესა რომ უკიდურესობას იჩენს ამ საგანზე, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ თუ ერთს წოდებას დაატყდება თავზე კაკალი, მაშინ მეორე, მესამე და შემდეგი წოდებაც მარტო სეირის მაყურებლად კი არ უნდა გამოდიოდეს ამ დროს, არამედ იგინიც აქტივობას უნდა იჩენდნენ და საერთო, საზოგადო საქმეში ყველანი ჩაბმულნი უნდა იყვნენ, თუ გვინდა საქმე კეთილად და სასურველად დაგვირგვინდეს, თორემ საზოგადო საქმე ან სადმე მიფუჩეჩდება, ან სადმე გაიყინება, ან-და მუდამ რყევაში იქნება.

კერძოობა რომ არავინ დამწამოს ერთს უბრალო მაგალითს მოვიყვან: ერთს დროს, როცა პირველად გაისმა ჩვენში ხმა ერობის შემოღების შესახებ, ერთ-ერთს პროვინციის ქალაქში ყრილობა იყო ამ ერობის შესახებ. წარმოითქვა სხვა და სხვა მოსაზრებანი, სხვა და სხვა კითხვები. სხვათა შორის, როცა საქმე იმაზე მიდგა, თუ ვინ, რა წოდების და მიმართულების ხალხს უნდა მიეღო მონაწილეობა ერობაში, ამ დროს ერთი სათვალებიანი, არა-მკითხე მოწაფე წარმოსდგა და მოწიწებით მოახსენა ყრილობას, რომ ერობაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველასო, გარდა ჟანდრებისა და... სამღვდელოებისაო. სამღვდელოების ხსენების დროს იქ დამსწრე უკიდურესმა მემარცხენემ, რომელიც სრულიად წინააღმდეგია ეკლესიისა თვისის პოლიტიკურის რწმენით, თავის დასაბუთებულ სიტყვაში გააქარწყლა ამ მოწაფის ცრუ შეხედულობა სამღვდელოებაზე და გამოსთქვა, რომ თუ სამღვდელოება გზას გადასცდაო, ეს სრულიად მისი ბრალი კი არა, რეჟიმის ბრალიაო, მაშასადამე, თუ მას რაიმე სოციალ მდგომარეობაში შეცდომა და ნახტომი მოუვიდა, ეს უნებლიეთია და არა ნებსითიო.

ჩვენც ასე გვგონია: თუ ვოლჟინებს შესაფერისად ვერ დახვდნენ ჩვენი მღვდლები—დიახაც მომზადებულნი უნდა დახვედროდნენ—ნეტავ ერი სად იყო მაშინ? ბატონებო! რად გგონიათ, რომ ეკლესიას მარტო სამღვდელოება შეადგენს? არა. ეკლესიას ყველა შეადგენს: ერი და მღვდელი. ყველა მისი წევრია; მაშასადამე, ეკლესიის ტკივილი საერთო უნდა იყოს და არა ცალკერძი.

ერი და მღვდელი ერთის აზრით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი და ერთს უნდა იკეთებდნენ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი თვითეული ქართველი, განურჩევლად წოდებისა, მიმართულებისა, ასაკისა, სქესისა! ყველა ერთის აზრით უნდა სულდგმულებდეს ამ საკითხის განხილვის როს.

ვიმეორებთ, აუცილებლად ინიციატივა სამღვდელოებიდან უნდა გამოდიოდეს, მაგრამ ამავე დროს უნდა დაირაზმოს ერიც. ეს დარაზმა კი მასში უნდა გამოიხატოს, რომ თვითეულმა მათგანმა: სამღვდელოებამ, თავად-აზნაურობამ, გლეხობამ და საზოგადოდ ყველა ერთგულმა მორწმუნე ეკლესიის წევრმა, ერთნაირი გეგმა შეადგინოს, ერთის საფუძვლით ხელმძღვანელობდეს ავტოკეფალობის თვით-მწყემსობის საქმეში და მაშინ ნახავთ თუ რა შედეგი მოჰყვეს ამ საქმეს.

განა შვიდასი მილიონი მანეთი, საქართველოს ეკლესიის ქონება, ყველასი არ იყო, ერის და მღვდელის. მაშ ერთსულოვნობით ვიმუშაოთ და ყველა დავინახავთ სასწორი საითკენ გადიხრება. თორემ ერთი მეორის ყურებით ქართული ანდაზის არ იყოს „სახლი ნაგვით აგვემსება“.

ერთობა ჩვენი მხსნელია ყველგან, ყველაფერში.

ქ. გძელი.

# აჭარა-გურიაში

აჭარაში ყოფნის დროს თავისუფალი მქონდა, შეძლებისდაგვარად მთელ აჭარაში მევლო და მეფუტკრეობა გამევრცელებინა, ბინა კი ხულოში მქონდა და იქიდან მიმოვიდოდი. ხულოშივე მქონდა მოწყობილი ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საფუტკრე. ჩემის დაკვირვებით თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ საქართველოს არც ერთ კუთხეში რაციონალური (წესიერი) მეურნეობის შესწავლას ისეთი დიდი ხალისით არ ეკიდებიან, როგორც აჭარაში. აჭარელი მეურნეობის შესწავლით დიდათ არის დაინტერესებული, მეურნეობის დარგში კი ყველაზე მეტად აჭარელს მეფუტკრეობა უყვარს, მეფუტკრეობის შესახებ მცირე რამ ცნობის მისაღებად, ან რაიმე ხელსაწყოს შესაძენად აჭარელი ხულოში 20—30 ვერსის მანძილიდან მოდიოდა. მოდიოდა ერთი და ორი კი არა, არამედ მოდიოდნენ დღეში 10—15 კაცი სხვა და სხვა სოფლიდან. გული მიკვდებოდა, როცა ყველას სურვილს ვერ ვასრულებდი. თუმც ისე არა, როგორც მეფუტკრეობას, მაგრამ ბევრი აჭარელი ეხვეოდა საერობო აგრონომს თავ. დიმიტრი ნაკაშიძესაც, როგორც ნასწავლ მებაღეს. ნაკაშიძე არც თავადი იყო და არც მთავრობის მოხელე, ის ნამდვილი ხალხური მოღვაწე იყო, არ იცოდა მოსვენება და საქმის მორიდება, ის მუდამ შრომაში იყო გართული და დარწმუნებული ვიყავით ყველა მისი შემხედვარე, რომ ის დიდ ნაყოფსაც მოიტანდა, მაგრამ ჩვენ ორივე ერთად დაგვთხოვეს ჩვენ ჩვენ საყვარელ საქმეს და ხალხს...

ნაკაშიძის მოადგილეთ ახალგაზრდა კაცია (საბედნიეროთ ქართველი), რომელსაც სურვილი დიდი აქვს გააკეთოს რამე, მაგრამ სწუხს, რომ აჭარაში ამოსვლა იმ დროს ხვდა წილად, როცა ის უძლურია სხვისი დაწყებული საქმე განაგრძოს: აჭარელი კი ახლაც კითხულობს დიმიტრი „კინიაზს“, ახლაც უკვირს (ხალხს) თუ რა შესცოდა ამ მუშა კაცმა ისეთი, რომ ის გადაასახლეს... ბევრი აჭარელისგან ახლაც გესმის გულსაკლავი საყვედური: —ვინც ჩვენი „ჩირაღდანი“ იყო არ დაგვიყენეს, ჩვენ რომ უყვარდით, მისთვის დასაჯეს, მაგრამ ქართველებს მაინც ვერ შეაძულებენ ჩვენ თავს... ახლა ჯოუ, ჩვენც გამეფხეკეთ ყური, ახლაც ჩვენც ვიცით ვის უნდა ჩვენი სიკეთე...

საქველმოქმედო საზოგადოების საფუტკრეში ფუტკრები კარგს მდგომარეობაში დამიხვდნენ. ფუტკრისათვის წრევანდელი წელიწადი იშვიათი კარგი იყო და ამიტომ თაფლიც უხვად აქვთ.

— ბევრი, ძლიერ ბევრი მოდის რჩევა-დახმარებას ითხოვს და ვერ ავდივართო,—შემომჩივლა ჩემს მაგიერმა მეფუტკრემ. ბევრ აჭარელს გადაწყვეტილი აქვს ასობით შეიძინოს ჩარჩოიანი სკები, მაგრამ საზოგადოების სახელოსნო მთხოვნელთ ვერ აკმაყოფილებს. აუცილებელია აჭარელს ფასით მაინც მივაწოდოთ მეფუტკრეობაში სახმარი ხელსაწყო. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახელოსნო: სადურგლო, საზეინკლო და სამჭედლო უკვე კოხტად და ლაზათიანად არის მოწყობილი. ყველაფერი იარაღი და ხელსაწყოც შეძენილია. სადურგლოში უკვე მუშაობს საზოგადოების დურგალი და აკეთებს სკებისა და სკოლების პარტებს. უფროსი ოსტატი კი (ზეინკალ-მჭედელი) ავათ გამხდარა და თბილისშია. ენკენისთვიდან გადაწყვეტილია აქ მიაბარონ მოზრდილი მოწაფეები და ხელობა ასწავლონ, რაც დიდათ საჭიროა აჭარლებისათვის. სირცხვილი და დიდი ზარალია მთელ აჭარაში არც ერთი აჭარელი არ იყოს რაიმე მოხელე და თოხის მოსაპირავად ბერძენი სჭიროდეს.

—

შუადღე მოტანებულია, მზე გვართანად აცხუნებს. ამ დროს კარგია ეკლესიის გალავანში, აკაციების ქვეშ მოსვენება და ფუტკრების შრომის ბზუილით დატკბობა. მეც იქ მივდივარ. აქ ჩემს თვალს მეტად სასიამოვნო სურათი დახვდა: ერთი ქალის გარშემო სამი ახალგაზრდა აჭარელი ზის და „დედა-ენას“ კითხულობს, ქალი ასწავლის. ეს ქალი გახლავთ ქ. პელაგია შარაშენიძე, ქალაქთა კავშირის საავადმყოფოს ბებია-ქალი, რომელიც სულ ორი თვეა აქ გაუმწესებიათ და თავისუფალ დროს აჭარლებს წერა-კითხვას ასწავლის. პატივცემული მანდილოსანი ძლიერ სწუხს, რომ წელს ვერ შეასრულა მისი გულითადი სურვილი და ხულოში ერთი ქართული წარმოდგენა ვერ გამართა. ოღონდაც, რომ კარგი იქნებოდა. აქაურ საავადმყოფოში პირველად არის, რომ ბებია ქალის ადგილს ქართველ ქალს აძლევენ, ამდენხანს სულ რუსის ქალები იყვნენ და ხშირი იყო ისეთი შემთხ-

ვევა, როცა მშობიარე ქალთან თარჯიმნად მამაკაცი „სტრაჟნიკი“ მიიწვიეს ამით აიხსნება ის, რომ ამავე საავადმყოფოს ფერშალს ბ. გიორგი კაჰახიძეს დედათა სნეულებით ავადმყოფნი მეტი ეჩვენებოდა, ვიდრე რუს ბებია ქალს. ბ-ნი კაჰახიძე აჭარაში ორი წელიწადია მსახურებს, ამ ხნის განმავლობაში თავისი მუყაითობით და აჭარლების სიყვარულით ხალხის განუსაზღვრელი ნდობა და პატივისცემა დაიმსახურა. მე ვერ წარმომიდგენია ზემო აჭარა უ „გორგისოთ“,— „გორგი დოხტური“ ყველას ენაზე აკერია და ყველა მას კითხულობს. აქ იყვნენ ექიმი ქალები—რუსები, მაგრამ გიორგის მაინც არავინ ეშვებოდა. ჯერ ექიმს გაასინჯვებდნენ თავს—მერე მაინც „გორგის“ მიმართავდნენ. სასურველია ქალაქთა კავშირი აჭარაში ყოველთვის ქართველ ექიმ-ფერშლებს და ბებია-ქალებს გაანწესებდნენ. ხულოში ჩემი ყოფნის დროს ამოვიდნენ ბათომიდან კავშირის რწმუნებული ექიმები ბ.ბ. კ. მხეიძე და ალ. შატილოვი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ხულოსათვის ვეძებთ ქართველ ექიმს (ადგილი თავისუფალია), მაგრამ ვერ ვიშოვეთ, აქ წამოსვლას გაურბიანო. ყოჩაღ, მამულიშვილო ექიმებო, ყოჩაღ! იმედია ქ-ნი პელაგია შარაშენიძე და ბ-ნი გიორგი კაჰახიძე არ მოიძულებენ აჭარლებს და არ ეცდებიან უფრო თბილისა და მოხერხებული ადგილის პოვნას.

აპ. წულაძე.

(დასასრული იქნება)

## წერილი ზემო სვანეთიდან

(ბ-ნ კ. ანდღულაძის საპასუხოდ).

პატივცემულ გაზეთ „თან. აზრის“ 175 ნომერში მოთავსებულია წერილი, „ხმა სვანეთიდან“—ბ-ნ კ. ანდღულაძისა, სადაც იგი ეხება სვანეთის უნუგეშო ცხოვრებას და სხვათა შორის სვანეთის მასწავლებელთა უვარგისობასაც; ხოლო წერილის ბოლოში მწვდა მეც, სვანეთის „თავხედ“ ბოქაულს და ყოვლად უმსგავსო ცილსა მწამებს: ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ადგილობრივმა ბოქაულმა მ. დადეშქელიანმა სრულიად უმიზეზოდ ძალზე სცემა მასწავლებელს დ—ს, მაგრამ უდანაშაულო ამხანაგის დახმარება და შეერთებულის ძალით თავხედ ბოქაულის ალაგმვა აზრათაც არავის მოსვლიაო“ და სხვა და სხვა. ბ-ნ კ. ანდღულაძის სამწუხაროდ, მისგან ცილ-წამებული, „თავხედი“ ბოქაული არც ისე შეუგნებელი და მართლაც „თავხედია“, რომ რაიმე საწინააღმდეგო ჰქონდეს პრესის საშუალებით უმგვანო და მართლაც თავხედ მოქმედებათა ცხად-ყოფისა. მაგრამ, როდესაც აშკარა ცილის წამებით ჩემი პიროვნება ფეხქვეშ ითელება, სიმართლე ითრგუნება და პრესა და მკითხველი საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს ბ-ნ კ. ანდღულაძეს,—აქ კი სიჩუმეც შეუძლებლად მიმაჩნია, თუნდაც მომხდარმა ფაქტმა მევე გამამტყუნოს. აი, როგორ გავხდი მე „თავხედი“ და როგორ „ვცემე ძალზე“ მასწავლებელს დ—ს „სრულიად უმიზეზოთ“: ჩემსა და მასწავლებელ დ—ს შორის მომხდარ სამწუხარო ინციდენტის ერთი კვირის წინ, მე და ორი დარაჯი მწუხრის ჟამს გამოვედით სოფ. მულახიდან ბეჩოსაკენ. ეგრედ წოდებულ „კახურ ზაგარს“ რომ მოვაღწიეთ, შეღამდა კიდეც და აქ ორი შეიარაღებული უცნობი შემოგხვდა წინ. ჩვენს კითხვაზე თუ ვინ არიან,—უცნობებმა სროლით გვიპასუხეს. ჩვენც აუტეხეთ სროლა და გამოვედევნეთ უცნობთ, მაგრამ სიბნელისა გამო ვერა გავიგეთ-რა და ასე დავშორდით ერთმანეთს, მეორე სალამოს ცნობა მივიღე მულახიდან, რომ ჩვენი სროლის ამტეხი „უცნობნი“ ორივე დაჭრილან და იმყოფებიან ამა და ამ მოსახლისასო. შეღამდა და მეც ჩემის დარაჯებით წავედი მულახში „უცნობ“ დაჭრილთა დასაჭერად. ნაშუალამევის 1—2 საათი იქნებოდა, როდესაც დარაჯებით და სოფლის მოხელეებით გარს შემოვერტყით ნაჩვენებ მოსახლეს და ის-ის იყო ეზოში შესვლა დავაპირეთ, რომ დარაჯმა დ. ჟორჟოლიანმა იმავე ეზოდან გამოსულს ორ კაცს მიაძახა: ვინ ხართ, შეჩერდითო. ამის თქმა და თოფის გავარდნა ერთი იყო. დარაჯმა ჟორჟოლიანმა მიაყვირა—„მომკლესო“ და ერთ ამათთაგანს ხელი სტაცა. ხოლო მეორე გაიქცა. მეც მივარდი და დავინახე, რომ ხელში დაჭრილი დარაჯი ჟორჟოლიანი და ვიღაც უცნობი რევოლვერით ხელში, ერთმანეთს ჩაჰჭიდებიან. მოსაკლავად ვერ გავიმეტე უცნობი „თავხედმა“ ბოქაულმა და რევოლვერის კონდახი დავარტყი თავში, რის შემდეგაც მას ხელიდან გაუვარდა რევოლვერი „პარაბელუმის“ სისტემისა. ამ დროს კვარის ანთებული ჟინჟილიც მოიტანეს და ჩემმიერ „ძალზე ნაცემი“, სრულიად უმიზეზოდ, აღმოჩნდა მასწავლებელი დ—ი. სიმართლე გულწრფელად უნდა ვაღვიარო, რომ ჩემგან დამოუკიდებელმა ამ მოულოდნელმა სამწუხარო ინცინდენტმა, ძალზე შემაწუხა და მასწავლებელ დ—სთვის შემდეგ კვლავ უფრო სამწუხარო შედეგებს მევე წავსცხე მალამო... მაგრამ, უკეთუ „ამხანაგის სრულიად უმიზეზოდ ძალზე ცემისთვის „თავხედი“ ბოქაულის“ ცილის წამებით ალაგმვა, ბ-ნ კ. ანდღულაძის მიერ დათვის სამსახური გამოვიდეს, მანვე აგოს პასუხი წინაშე მასწ. დ—სა და სინიდისისა. რაც შეეხება დღევანდელს სვანეთის დუხჭირს ცხოვრებას, ეს ცხადზედ უცხადესია, მაგრამ ამას თავისი ღრმა გამომწვევი მიზეზები უდევს საფუძვლად და ვგონებ ბ-ნ. კ. ანდღულაძის ეული ცილის წამების წერილები მას ვერ უშველის. ამისთვის საჭიროა იმ სწორ გზაზე შედგომა, ენერგია და გულწრფელი მუშაობა, რომელიც სენს ნამდვილ მიზეზს გამოუძებნის და მისი ეკლიანი ფესვების ამოგდება უზრუნველ-ყოფილი იქნება.... და აი, ამ გზაზე უკეთუ „თავხედი“ სვანეთის ბოქაული ვისმეს ჩამორჩეს, ანუ წინ გადაეღობოს მოწინააღმდეგეთ,—მაშინ ხამს მისი ალაგმვა. დიაღ! „ისეთმა ფურმა ჩამწიხლოს, რომელიც ჩემზედ მეტს იწველიდეს“. განა დღევანდელი სვანეთის მასწავლებელთა უმრავლესი ნაწილი სოფლის მასწავლებელთა იმ დემოკრატიულ ინტელიგენციის სისხლ-ხორცს შეადგენს, რომელზედაც ესოდენ სამომავლო იმედს ვამყარებთ? განა მოსათმენია ისეთი მასწავლებელი, რომელიც ეგრედ წოდებული „სოფლის ჩარჩ-წურბელაებზე“ უფრო ჩარჩ-წურბელაობს? განა ღირსია პატივისცემისა ისეთი, უკაცრაული პასუხია, „მასწავლებელი“, რომელიც სვანეთში სულ იმას ქადაგობს, რომ სვანები ქართველები არ არიან, ისინი განსაკუთრებული რასის ხალხია და ცდილობს ეკლესიებში მღვდელთ მოქმედება და სასწავლებლებში ლოცვები და ანგარიში სვანურ ენაზე წარმოებდეს? განა მასწავლებელი და სვანეთში ფრიად მავნებელი ზნე-ჩვეულებათა ხელის შეწყობა მოსათმენია? განა მასწავლებელი „დანოსჩიკი“, მაბეზღარი, მცონარე, მეგროში და სხვა მრავალ ბოროტების ხელის შემწყობი-მისაღებია? რა თქმა უნდა სვანეთის მასწავლებელთა უმცირესი ნაწილი ამ გზას ვერ თანაუგრძნობს, მარა უმრავლესობა ყოველ კრიტიკის გარეშე სდგას და რა გასაკვირია, რომ სვანეთის ცხოვრებას ჯერ კიდევ შავი ხეწარი ეფაროს? სვანეთის მასწავლებლობამ საქართველოს მასწავლებელთა კავშირში ჩაწერა და შესვლაც ვერ მოახერხეს თავის დაქსაქსულობისა გამო... და ყველა ამაების შემდეგ კითხვა იბადება: ჩემგან სრულიად დამოუკიდებელ მიზეზის გამო გამოწვეული „თავხედობისათვის“ ჩემი ალაგმვა უფრო საჭირო და სამართლიანია, თუ იმ ზემოხსენებულ სვანეთის მასწავლებლობისა, რომელსაც მოუწოდებს ბ-ნი კ. ანდღულაძე? ბოქაულის ადგილზე ზემო ხსენებულ პირობებში მე უფრო დამნაშავე ვარ, თუ მასწავლებლის ადგილზე ზოგიერთი სვანეთის მასწავლებლები? მსჯავრი დაე საზოგადოებამ დასდვას!

დასასრულ, საქვეყნოდ ვაღვიარებ, რომ უკეთუ ჩემს ზემოთ ნათქვამში, როგორც ბ-ნს კ. ანდღულაძეს, აგრეთვე სხვას ვისმეს ეჭვი დაებადება, მზათა ვარ გოველგვარი კულტურული გზით ჩემი ნათქვამის სრული ჭეშმარიტება ცხად-ვყო პრესისა და მიუდგომელი სამსჯავროთი.

ზემო სვანეთის ბოქაული თ-დი მურზაყან დადეშქელიანი.

P. S. ვსთხოვ პატივცემულ გაზ. „თანამედროვე აზრის“ რედაქციას, სიმართლის აღსადგენად ეს წერილი უკლებლივ გადაბეჭდოს.

პატივისცემით მ. დ—ნი.

## თეატრი

**ბახშოს კონცერტი.**

ბახშოს კონცერტი! არ გაიცინოთ, მართლა „კონცერტი“ იყო დიდი „ვირტოუზისა“, „სოლოგარმონისტ“ ბახშოვ! ეს საქათინაურო ეპიტეტები მე არ მომიგონია: დიდს აფიშებზე სწორედ ასეა ნათქვამი: „კვირას, 4 ენკენისთვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება კონცერტი პირველ ცნობილ კავკასიელ **სოლო-გარმონისტ ვირტოუზ ბახშოს** მიერ!“ მოდით და ნუ წახვიდოდით ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად! ბახშო, პირველი სოლო-გარმონისტი, ვირტოუზი! და იცით რას შეასრულებს? ინებეთ პროგრამაც: „სამშობლოსადმი ნაღველი“, „მეეტლე“, „მაზურკა“, „მალოროსიული პოპური“, ყორღანოვის „ბაიათი“, ნაწყვეტი ოპერა „გეიშიდან“, „კარმენიდან“ „დოლლართა პრინცესიდან“ და სხვა და სხვა. არ დარჩა, არ დარჩა ქართულ-სომხურ-თათრულ-ებრაელ თუ ბოშათა ჰანგი, რაც ბახშოს არ შეესრულებინოს, ვირტოუზულად...

ვინაა ბახშო? რომელ ქვეყნიდან მოფრენილი? ნუ იკითხავთ! საქმე ვირტოუზობაა და მისი ვირტოუზობაც იქიდან სჩანდა, რომ გარმოშკას ათასნაირად ატრიალებდა, „ფოკუსობდა“, ერთი სიტყვით, ძალუმად კი უკრავდა დალოცვილიშვილი!

ბახშოს ამაყად უჭირავს თავი! ან და რად არ იამაყებს: მსმენელნი ჰყავს, ტაშის დამკვრელია კონცერტზე მიმწვევნი...

მას გემოვნება ფრიად განვითარებული აქვს, ეს ის გემოვნება, რასაც ფაქიზ „სიტლანქეს“ უწოდებენ და რომლის კურსებსაც ავლაბრის კონსერვატორიაში თუ გადიან!

ამასთანავე გენიოსია ბახშო! ან რად არ იქნება გენიოსი, როდესაც მთელს ოპერებს უნოტოდ უკრავს!

კაცი, ვისაც ანი და ბანი არ გაურჩევია, ვისაც ნოტებისა არა გაეგება რა, ვინც, რომ ერთს სმენაზე ამყარებს თავის ნიჭს, ვინც სოლო-გარმონისტობას ეწევა, ამ დაწყევლილს სამუსიკო იარაღ „ბუზიკაზე“, რასაც დღესაც ანდერძი ვერ აეგო ამდენი ინსტრუმენტების შემოღება-განვითარების შემდეგ, კაცი მეთქი, ვინც ყოველისფერს თავის გემოვნებაზე აწყობს და ჰქმნის, თვითონ ბიჭობს, თვითონ ვერდობს და ბეთჰოვენობს, —მოდი და ნუ ჩაითვლება გენიოსად! მოდი და ნუ ვიტყვით, ბედნიერს ვარსკვლავზე დაბადებულაო!

არა, ბედნიერია ბახშო!

მაგრამ უფრო ბედნიერია მისგან გაბედნიერებული ხარფუხის კლუბი და დამსწრე საზოგადოება, რომელიც გამკვეთარს ბუზიკის ჰიჰყვინს გამალებით ტაშს უკრავდა!..

დიოგენი.

—

**სოფ. ახმეტა** (თიანეთის მაზ.).

მარიამობისთვის 6-ს, თ-დ სოლ. რევ. ჩოკაევ-ჯანდიერის გამგეობით, ახმეტის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ, ადგილობრივ ძალთა მიერ იქმნა გამართული სალიტერატურო სალამო. წარმოდგენები და გასართობი სალამოები ახმეტაში უცხო ხილია. მშვენიერებას წარმოადგენდა ჩირაღდნებით გაჩაღებული ეზო. სცენის გარეთა პირს ამშვენებდა მხატვრულ გემოზედ მორთული ხალიჩები და მწვანე ფათალო. ხალხიც ბლომად შეიყარა და მოუთმენლად ელოდნენ ფარდის აწევას.

ფარდის აწევისას ბ-ნმა გამგემ მცირედის, მაგრამ საგულისხმიერო სიტყვით მიჰმართა ყველა იქ მყოფთ. მკაფიოთ განმარტა თეატრის მნიშვნელობა, და ბოდიში მოითხოვა თუ რამე ნაკლს შეამჩნევდნენ.

წარმოდგენილ იქმნა ივ. მაჩაბლის კომედია „ადვოკატი მელაძე“. კარგი იყო არჩილ მაღალაშვილი (ადვოკატის როლში), გაბრიელ ჩიკვაიძე (ვაჭრის როლში) და ირაკლი მორთულაძე (მეცხვარის როლში). არა უშავდათ-რა, ქ-ნ სონა ჩოკაევ-ჯანდიერს (მარინეს როლში) და რევაზ მაღალაშვილს.

მეორე განყოფილებაში ჯერეთ ფარდა არ ახდილიყო, მოისმა ქართული ეროვნილი საგმირო სიმღერა „ომში წასვლაც მას უხარის“ და სხვა.

კარგი ხმებისაგან შემდგარმა გუნდმა, რომელსაც თ-დ ივ. ჩოკ.-ჯანდიერი ლოტბარობდა, მრავალი ეროვნული სიმღერები შეასრულა. შიგა და შიგ წაკითხულ იქმნა ლექსები და იმერული სცენები.

მადლობის ღირსია მარიამ გალავანოვის ასული, რომელსაც საკმარისი შრომა მიუძღვის სალამოს გამართვაში.

წმინდა შემოსავალი იმ დიდ ხარჯების გარდა, რომელიც მათ მოუხდათ სცენის უქონლობის გამო, დარჩა 45 მანეთი.

ამ ფულს მიემატა დიმიტრი მაღალაშვილის მიერ შეგროვილი სამკითხველოს სასარგებლოდ 11 მან. და 50 კაპ. შაქრო ჩოლოყაშვილის სახლში ნათლობაზე სოფ. მატანში. რისთვისაც დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ სამკითხველოს გამგეობა. გამგეობის მონდობილობით

დიმ. იმნაირაშვილი.

## შეცდომის გასწორება

ჩ. კაპანაძის წერილში საქართველოს ეკლესიის ქონება და მისი ბედი „საქართ.“ № 197-ში სწერია: 558.023 დღიური, დღიური 500 მან. რომ ვიანგარიშოთ 139.556.250 მან. შეადგენს, უნდა იყოს: დღიური 50 მან. რომ ვიანგარიშოთ 27.901.150 მან.

სულ ერთად 140.556.250 მან. შეადგენს, უნდა იყოს 28.901.150 მ.

მთელ ქართლ-კახეთის ქონების ღირებულება 514.055.624 მან. შეადგენს, უნდა იყოს 528.901.150 მან.

ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიის ქონება სულ ცოტა 556.530.625 მან. ღირებულებას შეადგენს, უნდა იყოს 571.376.150 მან.

## სპორტი

**(ფრანგული ჭიდაობა)**

3 ენკენისთვეს პირველად შეხვდა ერთმანეთს ორი საუკეთესო ფალავანი „შავკანა აპოლონი“ **ჩემბერს ციპსი და ი. ზაიკინი.** ჭიდაობდნენ ზანტად და რამოდენიმე წუთის განმავლობაში არც ერთი ხეირიანი ფანდი ერთმანეთისთვის არ გაუკეთებიათ. ციპსი სცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა ფანდებს, ხოლო ზაიკინი გეგონებოდათ დასასვენებლად გამოსულაო.

ბოლოს ზაიკინმა „tour de tête“-ს ხერხით გადმოისროლა ციპსი და ხალიჩის გარედ დააგდო, ის იყო უნდა პირაღმა გადაებრუნებინა, მაგრამ „ჟიურიმ“ წინადადება მისცა ხალიჩის გარედ გამარჯვება არ ჩაგეთვლებაო. გაჯავრებული ზაიკინი წამოდგა, მიდიოდა შუა ალაგას, უცებ სწრაფი „შავკანა“ მოპარვით ეცა ბეჭებში და პირაღმა დააწვინა ზაიკინი.

ეს არა სასიამოვნო მოვლენა „ჟიურიმ“ სპორტის სახელით გამარჯვებათ ჩაუთვალა ციპსს. და მართლაც ასე არის, მოჭიდავემ თავის თავს უნდა უყუროს ჭიდაობის დროს, თორემ მოწინააღმდეგე ზურგს უკნიდან წააქცევს მას თუ წინიდან სულ ერთია, მაინც წაქცეულია.

4 ენკენისთვეს, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს რუსი-ბუმბერაზი, სახელ-განთქმული, როგორც რუსეთში, აგრეთვე საზღვარ გარედ, პატივი და დიდება რუსეთის სპორტისა, უძლეველი ფალავანი, პრემიერი ყველა „მსოფლიო ფალავანთა“ ი. მ. პოდუბნი და კავკასიელი ბრგე, წამქცევი მრავალი „მსოფლიო მოჭიდავეთა“-ს „ყაზბეგის მთა“-თ წოდებული. ჭიდაობა საინტერესო იყო, ამ სალამოს პირველად ვნახეთ ორი ძალა, რომელიც ნამდვილად უპირდაპირდებოდნენ ერთმანეთს. ტყუილად სცადა ბ. პოდუბნიმ რამოდენიმეჯერ „tour de hanche“-ის ხერხით გადმოეტანა „ყაზბეგის მთა“, მაგრამ ადგილიდანაც ვერა სძრავდა. დაბოლოს ხალიჩის გარედ სრულიად შეცდომით პოდუბნი წაიქცა, მაგრამ ისევ მარდად წამოხტა, ამ შემთხვევით ისარგებლა „ყაზბეგის მთამ“ და თავის თავს გამარჯვებული უწოდა. ხალხი ამაზე არ დათანხმდა; „ყაზბეგის მთამ“ ჭიდაობა შესწყვიტა, თავს იმით იმართლებდა, რომ პოდუბნი დიდი მოჭიდავეა და მას ორჯერ ვერ წავაქცევო და წავიდა არენიდან. „ჟიურიმ“ სპორტის სახელით „ყაზბეგის მთას“, როგორც გაქცეულს არენიდან დამარცხება ჩაუთვალა.

შემდეგ იჭიდავეს ზანგმა **ჩემბერს ციპსმა** და ფრანგული ჭიდაობის „მსოფლიო ტეხნიკმა პ. ზაგორუიკომ.

ორივე ლამაზად ჭიდაობდნენ და მეტის მეტად ასიამოვნეს საზოგადოება ნამდვილი ფრანგული ხერხებით. ყველაზე საინტერესო ხერხია „პირუეტი“, რომელსაც თვალწარმტაცად აკეთებს „ხერხების კაროლი“ ზაგარუიკო. დაბოლოს tour de tête-ს ხერხზე დაიჭირა და წააქცია ციპსმა ზაგარუიკო.

მესამე წყვილი.

გამოჩენილი პირველ ხარისხოვანი ბელგიელი ფალავანი **ჟორჟუ დაზე** შეხვდა გოლანდიელ ფალავანს **ვან-დერ-დეიკს.** ჭიდაობა ყურადღების ღირსი იყო. საერთოდ ვიტყვით, რომ ჟორჟ დაზე მეტის-მეტი ზრდილობიანი ფალავანია, მისი ჭიდაობა ყოველთვის ყაყანს და ცხვირ-პირის მტვრევას მოკლებულია. თორმეტ წუთში ჟორჟ დაზემ ხერხი „tour de hanche“-ით დასცა ვან-დერ-დეიკი.

მეოთხე წყვილი.

გამოჩენილ რუს ფალავანს და ავიატორს ი. ზაიკინს დაეჭიდა სახალინელი, წონით 10 ნახ. ფუთი **ი. ლეში,** რომელიც ერთს წუთში წაქცეულ [illegible].

გვნო.

რედაქტორ-გამომცემელი
**ხანდარო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. № 9, | 10.33 | სალ. |
| ბორჯომის | სამგზ. № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 10.12 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | № 3, . 7 | „ 58 | „ სალ. |


## სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ [illegible] სამუდამოდ განიკურნოს ამ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება სუსუნატის წამლით პირველ-ხარისხოვანი „გონოზანით“. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშვალება ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

თუ თქვენთვის ეს საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშვალებაა. საშვალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სნეულისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შუშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ რ. შმიდტ თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 ოთ. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მუქავოს ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე.

—300—

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
# კომერციულ ცოდნათა
კ უ რ ს ე ბ ი
# ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. სალამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—231—8)

## სავაჭრო სახლი
# „ძმ. სესიევები და ამხ.“
(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

# თუ გსურთ,

რემინგტონზე რისამე დაბეჭდვა,
რემინგტ. სწავლა ამერიკ. წესით,
საქმის ქაღალდის დაწერა,
თხოვნების შედგენა,
საქმის და თხოვნის წარმოება,
ცნობების შეკრება,
მოსამსახურის შოვნა,
საკომისიო მინდობილობა,
ბინის გაქირავება,
ბინის შოვნა,
მამულის სყიდვა,
მამულის გასყიდვა,
მამულის დაგირავება,
მამულის იჯარით გაცემა და სხვ.

# მიმართეთ
## ცნობის კონტორას
# ი. თ. გვათუასას

თბილისი, ვერის დაღმართი,
სახლი მელიქ აზარიანისა № 1

შუამავლობას ეს კონტორა
გასწევს როგორც ქალაქელთა
ისე ქალაქ გარეშელთათვის.

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდენ ფასებში**

მისამართი პროვინციელთათვის: Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

# „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგვინეთუხუცესები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მიიღება საკუთარ და საცოშრო სახლ. „ძ. მეგვინეთ-უხუც, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ჯემშიდ“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფორეჯი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მრავალი ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.